

## დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება  
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მომზადებული აღრიცხვის საერთაშორისო  
სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული და ევროკავშირის  
მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო  
სტანდარტების შესაბამისად

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

## შინაარსი

|                                                    |   |
|----------------------------------------------------|---|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე | 2 |
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                    | 3 |
| სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება         | 5 |
| ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება   | 6 |
| ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება         | 7 |
| კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება    | 8 |
| ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები    | 9 |



## მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც წარმოდგენილია 5-დან 50-ე გვერდის ჩათვლით, პასუხისმგებელია შპს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ („კომპანია“) მენეჯმენტი.


ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:


- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული და ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.

2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ და ხელმოწერილია:

  
ვახტანგ დეკანოიძე  
გენერალური დირექტორი  
შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო

  
რამაზ ხოჩია  
ფინანსური დირექტორი  
შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო

თარიღი:





შპს KPMG Georgia  
ბესიკის ქ. 4, მე-2 სართ.  
თბილისი, 0108  
საქართველო

ტელეფონი +995 (32) 2935695  
ფაქსი +995 (32) 2935713  
ვებ-გვერდი [www.kpmg.ge](http://www.kpmg.ge)

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს “დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“-ს სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ მოვახდინეთ შპს “დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტორული შემოწმება: ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება, ინდივიდუალური საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, საბუღალტრო აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა და სხვა განმარტებითი შენიშვნები.

### მმართველი რგოლის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მმართველი რგოლი პასუხისმგებელია ევროკავშირის მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მენეჯმენტის თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

### აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით, გამოვთქვათ მოსაზრება ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის ისე დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოდგენილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის ამ შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აღნიშნულის მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, სააღრიცხვო შეფასებების სისწორისა და მთლიანად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.



დასკვნა

ჩვენი აზრით, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ევროკავშირის მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ენდრიუ კოქსშელი  
აღმასრულებელი დირექტორი


KPMG Georgia LLC

შპს KPMG Georgia  
7 მაისი 2014


**შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო**  
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

|                                                            | შენიშვნა | 2013<br>ლარი'000 | 2012<br>ლარი'000 |
|------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| შემოსავლები                                                |          |                  |                  |
| მოზიდული პრემია ბრუტო                                      | 5        | 51,840           | 49,953           |
| მინუს: გადამზღვევლის კუთვნილი პრემია                       | 5        | (4,142)          | (5,366)          |
| <b>მოზიდული პრემია ნეტო</b>                                |          | <b>47,698</b>    | <b>44,587</b>    |
| გაუქმებული პრემია                                          | 5        | (5,775)          | (470)            |
| გამოუმუშავებული პრემიის რეზერვის ცვლილება                  | 5        | 3,029            | (14,932)         |
| გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელ პრემიის რეზერვში           | 5        | (464)            | 1,350            |
| <b>გამომუშავებული პრემია ნეტო</b>                          |          | <b>44,488</b>    | <b>30,535</b>    |
| ნეტო ანაზღაურებული ზარალები,                               | 6        | (41,985)         | (28,281)         |
| ნეტო ცვლილება სადაზღვევო ზარალების რეზერვებში              | 6        | 1,481            | 1,430            |
| <b>ნეტო ზარალები</b>                                       |          | <b>(40,504)</b>  | <b>(26,851)</b>  |
| შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონების რეალიზაციიდან |          | 257              | 762              |
| აკვიზიციური ხარჯები                                        | 7        | (3,294)          | (2,082)          |
| საკომისიო შემოსავალი                                       |          | 747              | 468              |
| საკომისიო ხარჯი                                            |          | (338)            | (297)            |
| <b>სადაზღვევო საქმიანობის შედეგი</b>                       |          | <b>1,356</b>     | <b>2,535</b>     |
| მოგება საინვესტიციო საქმიანობიდან                          | 8        | 1,036            | 3,429            |
| საპროცენტო ხარჯი                                           | 8        | (951)            | (2,156)          |
| სხვა საოპერაციო (ხარჯი)/შემოსავალი                         |          | (872)            | 186              |
| ადმინისტრაციული ხარჯი                                      | 9        | (1,804)          | (2,380)          |
| ზარალი აქტივების გაუფასურებიდან                            |          | (226)            | 98               |
| <b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>                         |          | <b>(1,461)</b>   | <b>1,712</b>     |
| მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი                     | 10       | (71)             | 85               |
| <b>პერიოდის წმინდა მოგება</b>                              |          | <b>(1,532)</b>   | <b>1,797</b>     |

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2014 წლის 18 მარტს შემდეგ პირთა მიერ:

  
ვახტანგ დეკანოსიძე

გენერალური დირექტორი

  
რამაზ ხვიჩია

ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს 10-დან 50-ე გვერდებზე არსებულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო**  
 ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                        | შენიშვნა | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|----------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                        |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                   | 11       | 2,793             | 2,978             |
| საინვესტიციო ქონება                    | 12       | 2,749             | 2,871             |
| არამატერიალური აქტივები                |          | 109               | 36                |
| გადავადებული აკვიზიციური ხარჯები       | 7        | 478               | 996               |
| სხვა აქტივები                          | 13       | 2,106             | 4,036             |
| ინვესტიცია მეკავშირე კომპანიებში       | 14       | 5,600             | 4,200             |
| გაცემული სესხები                       |          | 18                | 527               |
| გადაზღვევის წილი სადაზღვევო რეზერვებში | 18       | 4,608             | 4,235             |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები     | 21       | 2,586             | 2,657             |
| სადაზღვევო მოთხოვნები                  | 15       | 21,339            | 23,896            |
| ბანკებში განთავსებული თანხები          | 16       | 5,099             | 7,792             |
| ფული და ფულის ეკვივალენტები            | 17       | 837               | 1,782             |
| <b>სულ აქტივები</b>                    |          | <b>48,322</b>     | <b>56,006</b>     |
| <b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>       |          |                   |                   |
| <b>ვალდებულებები</b>                   |          |                   |                   |
| სადაზღვევო რეზერვები                   | 18       | 25,030            | 28,703            |
| სესხები                                | 19       | 14,545            | 17,073            |
| დაზღვევის და გადაზღვევის ვალდებულებები | 20       | 3,404             | 2,925             |
| სხვა ვალდებულებები                     |          | 305               | 735               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>               |          | <b>43,284</b>     | <b>49,436</b>     |
| <b>კაპიტალი</b>                        |          |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                     | 22       | 9,405             | 9,405             |
| აკუმულირებული ზარალი                   |          | (4,367)           | (2,835)           |
| <b>სულ კაპიტალი</b>                    |          | <b>5,038</b>      | <b>6,570</b>      |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>   |          | <b>48,322</b>     | <b>56,006</b>     |

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს 10-დან 50-ე გვერდებზე არსებულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო  
 ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

|                                                                               | შენიშვნა  | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|-------------------------------------------------------------------------------|-----------|-------------------|-------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                               |           |                   |                   |
| მიღებული სადაზღვევო პრემია                                                    |           | 46,342            | 33,799            |
| გადახდილი გადაზღვევის პრემია                                                  |           | (1,408)           | (2,603)           |
| გადახდილი ზარალები                                                            |           | (39,473)          | (28,345)          |
| რეგრესები                                                                     |           | 194               | 527               |
| აკვიზიციური ხარჯი                                                             |           | (2,775)           | (2,428)           |
| მიღებული პროცენტი                                                             |           | 669               | 2,402             |
| ადმინისტრაციული ხარჯი                                                         |           | (3,115)           | (1,749)           |
| გადახდილი პროცენტი                                                            |           | (350)             | (861)             |
| (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში                                             |           |                   |                   |
| ბანკებში განთავსებული თანხები                                                 |           | 3,328             | 162               |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადასახადის გადახდამდე</b> |           | <b>3,412</b>      | <b>904</b>        |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                                  |           | -                 | (364)             |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფულის მოძრაობა</b>              |           | <b>3,412</b>      | <b>540</b>        |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                             |           |                   |                   |
| გაცემული სესხები                                                              |           | -                 | (3,762)           |
| ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეძენა                          | 11,12     | (93)              | (318)             |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნაღდი ფულის მოძრაობა</b>            |           | <b>(93)</b>       | <b>(4,080)</b>    |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>                                |           |                   |                   |
| კაპიტალში შენატანი (საწესდებო კაპიტალის გაზრდა)                               |           | -                 | 3,017             |
| სესხის მიღება                                                                 |           | -                 | 793               |
| სესხის დაფარვა                                                                |           | (4,243)           | (1,490)           |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>                                |           | <b>(4,243)</b>    | <b>2,320</b>      |
| <b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა / (კლება)</b>                   |           | <b>(924)</b>      | <b>(1,220)</b>    |
| საკურსო სხვაობის შედეგი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე                         |           | (21)              | 229               |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში                                   |           | 1,782             | 2,773             |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                                 | <b>17</b> | <b>837</b>        | <b>1,782</b>      |

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგების წაკითხვა უნდა მოხდეს 10-დან 50-ე გვერდებზე არსებულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო**  
 კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება 2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

|                                                           | საწესდებო<br>კაპიტალი<br>'000 ლარი | გაუნაწილებე<br>ლი მოგება<br>'000 ლარი | სრული<br>'000 ლარი |
|-----------------------------------------------------------|------------------------------------|---------------------------------------|--------------------|
| ნაშთი 2012 წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით (არააუდირებული) | 6,388                              | (3,391)                               | 2,997              |
| <b>სრული შემოსავალი (არააუდირებული)</b>                   |                                    |                                       |                    |
| წლის ზარალი (არააუდირებული)                               | -                                  | 1,797                                 | 1,797              |
| სრული წლიური შემოსავალი<br>(არააუდირებული)                | -                                  | 1,797                                 | 1,797              |
| კაპიტალის გაზრდა (არააუდირებული)                          | 3,017                              | -                                     | 3,017              |
| შვილობილის შერწყმის შედეგი                                | -                                  | (1,241)                               | (1,241)            |
| <b>ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით</b>      | <b>9,405</b>                       | <b>(2,835)</b>                        | <b>6,570</b>       |
| <br>ნაშთი 2013 წლის 1 იანვრის<br>მდგომარეობით             | <br>9,405                          | <br>(2,835)                           | <br>6,570          |
| სრული შემოსავალი                                          |                                    |                                       |                    |
| წლის მოგება                                               | -                                  | (1,532)                               | (1,532)            |
| სრული წლიური ზარალი                                       | -                                  | (1,532)                               | (1,532)            |
| <b>ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის<br/>მდგომარეობით</b>      | <b>9,405</b>                       | <b>(4,367)</b>                        | <b>5,038</b>       |



## 1 საბაზისო ინფორმაცია

### (a) ძირითადი საქმიანობები

დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო ("კომპანია") შეიქმნა 2004 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სახით. კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: საქართველო, 1060, თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. #88/15.

კომპანია ლიცენზირებულია საქართველოში ყველა სახის სადაზღვევო სერვისის უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

კომპანიის მეკავშირე კომპანიაა:

| დასახელება        | წარმოშობის ქვეყანა | ძირითადი საქმიანობა | საკუთრების % |      |
|-------------------|--------------------|---------------------|--------------|------|
|                   |                    |                     | 2013         | 2012 |
| შპს ჯეო ჰოსპიტალს | საქართველო         | სამედიცინო სერვისი  | 35%          | 35%  |

2013 წლის 31 დეკემბერს კომპანიას გააჩნდა 4 ფილიალი, საიდანაც აწარმოებდა სადაზღვევო ბიზნეს-საქმიანობას საქართველოს მასშტაბით. 2013 წლის 31 დეკემბერს კომპანიას სრული განაკვეთით დაქირავებული ჰყავდა 150 თანამშრომელი.

კომპანიის შუალედურ დამფუძნებელს წარმოადგენს ვენის სადაზღვევო ჯგუფი VIENNA INSURANCE GROUP AG Wiener Versicherung Gruppe, ვენა (VIG). კომპანიას სრულად აკონტროლებს Stadtische Wechselseitiger Versicherungsverein – Vermögensverwaltung - ვენის სადაზღვევო ჯგუფი, ვენა.

### (b) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია ოპერაციებს აწარმოებს საქართველოში; შედეგად, კომპანია წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზარზე, რომელიც ავლენს განვითარებადი ეკონომიკის თვისებებს; სამართლებრივი, საგადასახადო და რეგულატორული სტრუქტურები განვითარების პროცესშია თუმცა, ხშირად აქვს ადგილი ცვლილებებსა და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, რაც, საბოლოოდ, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ ბარიერებთან ერთად, გარკვეულ გავლენას ახდენს საქართველოში მოქმედი კომპანიების წინაშე არსებულ გამოწვევებზე; ინდივიდუალური ფინანსური აღრიცხვა ასახავს საქართველოს ბიზნესგარემოს მიერ კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციებზე ზეგავლენის შეფასებასა და ამ შეფასების მენეჯმენტს; სამომავლო, ანუ პოტენციური ბიზნეს-გარემო, შესაძლოა, განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისაგან.

## 2 მომზადების საფუძველი

### (a) განაცხადი შესაბამისობაზე

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული და ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიამ არ წარმოადგინა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ბასს 27-ზე (კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება) დაყრდნობით. კომპანია წარმოადგენს სხვა საწარმოს ნაწილობრივ შვილობილს და ეს საწარმო და მისი სხვა

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ და წინააღმდეგი არ წასულან იმისა, რომ კომპანიამ არ წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. კომპანიის სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვა არ იწარმოება საჯარო ბაზარზე გასაყიდად. კომპანია თავის ფინანსური ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის. კომპანიის შუალედური დამფუძნებელი - ვენის სადაზღვევო ჯგუფი, ადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შესაბამისობაშია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ და ევროკავშირის მიერ აღიარებულ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს).

ვენის სადაზღვევო ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ნახვა შესაძლებელია საიტზე [www.vig.com](http://www.vig.com).

**(b) მომზადების საფუძველი**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

**(c) ანგარიშგების ვალუტა**

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რაც კომპანიის საქმიანობის ვალუტაა. ლარში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

**(d) გათვლების და შეფასებების გამოყენება**

მენეჯმენტის მიერ გამოყენებულია გარკვეული შეფასებები და დაშვებები, რომელიც ეხება აქტივების და ვალდებულებების ანგარიშგებას და პირობითი აქტივების და ვალდებულებების აღიარებას იმისათვის, რომ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს ევროკავშირის ფასს-თან შესაბამისობაში. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

კერძოდ, სააღივებო პოლიტიკის გამოყენებისას კრიტიკული დასკვნებისა და ხარჯთაღრიცხვის შეფასების რეალურობის რიგი მნიშვნელოვანი სფეროს შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ შენიშვნებში:

- სადაზღვევო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი - შენიშვნა №15
- სადაზღვევო რეზერვები - შენიშვნა №18

**(e) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკასა და წარდგენაში**

კომპანიამ დანერგა შემდეგი ახალი სტანდარტები, ცვლილებები სტანდარტებში, სხვა სტანდარტებში შედეგობრივი ცვლილებების გათვალისწინებით, მათი პირველადი გამოყენების თარიღიდან, რაც წარმოადგენს 2013 წლის პირველ იანვარს.

- ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასება
- სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა (ბასს 1 ის - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ შესწორება)



- **ფინანსური ინსტრუმენტები:** ახსნა-განმარტებითი შენიშვნები - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა (ფასს 7-ის შესწორება)

აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვთ მატერიალური ეფექტი კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

ქვემოთ ახსნილია ცვლილებების შინაარსი და ეფექტი.

**(i) რეალური ღირებულების შეფასება**

აღნიშნული შეფასება მოთხოვნილია ან ნებადართულია სხვა ფასს - ის მიერ. პრაქტიკულად, ის უნიფიცირებას უკეთებს რეალური ღირებულების განმარტებას, როგორც ფასისას, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს აქტივის გაყიდვისას თანხის გადახდის ან ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. ის ასევე ცვლის და აფართოებს რეალური ღირებულების ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს ევროკავშირის მიერ აღიარებულ სხვა ფასს - ებში, ფასს 7 - ის ჩათვლით.

შედეგად კომპანიამ აღიარა რეალური ღირებულების ახალი დეფინიცია. ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებაზე. მიუხადავად ამისა, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებაში გაითვალისწინა ფასს 13 - ის მოთხოვნები წარდგენასთან დაკავშირებით. ეს არ ეხება შესაძარის პერიოდს.

**(ii) სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების კომპონენტები**

ფასს 1 - ის ცვლილების შედეგად ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიამ უნდა შეცვალოს სხვა სრული შემოსავლის მუხლების წარდგენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა სრული შემოსავლის კომპონენტები უნდა დაიყოს შემდეგნაირად: კომპონენტები, რომელთა მოგება - ზარალში რეკლასიფიცირება მოსალოდნელია მომავალში და რომელთა რეკლასიფიცირებაც არასოდეს მოხდება.

**(iii) ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა განმარტებითი შენიშვნები- ფინანსური აქტივებისა ვალდებულებების გადახურვა**

ფასს 7-ის ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა. დაწესებულია მოთხოვნა რაც ეხება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას მათი წარდგენისას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე ნეტო გარიგებები და სხვა მსგავსი კონტრაქტები.

რადგან კომპანია არ ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გადახურვას ბასს 32-ის „ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა“ შესაბამისად და არ აქვს შესაბამისი ოპერაციები, რაც ექვემდებარება გადახურვას, ცვლილებას არ აქვს გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა**

ყველა პერიოდისთვის, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია აქ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკა, გარდა „2 - E“ შენიშვნისა.



(a) ინვესტიციები მეკავშირე კომპანიაში

მეკავშირე საწარმოები არის ის ორგანიზაციები რომელზეც ვრცელდება კომპანიის მნიშვნელოვანი გავლენა (და არა კონტროლი) მის ფინანსურ და საოპერაციო პოლიტიკებზე. მნიშვნელოვანი გავლენა წარმოიშობება მაშინ როდესაც კომპანია მეორე ორგანიზაციაში ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში დათვლილია როგორც ღირებულებას მიწუს გაუფასურების ზარალი.

(b) უცხოური სავალუტო ტრანზაქციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის საქმიანობის ვალუტაში ტრანზაქციის თარიღის კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია საქმიანობის ვალუტაში ამ თარიღის კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არა-მონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომელიც მოყვანილია ისტორიული ღირებულებით, გადაყვანილია ტრანზაქციის კურსით. კურსთაშორის სხვაობები აღიარებულია როგორც მოგება ან ზარალი. არა-მონეტარული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც მოყვანილია სამართლიანი ღირებულებით და რომელთა ღირებულებაც განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია საქმიანობის ვალუტაში იმ თარიღის კურსით, რა თარიღითაც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. კურსთაშორისი სხვაობები აღიარებულია როგორც მოგება ან ზარალი.

(c) სადაზღვევო კონტრაქტები

(i) კონტრაქტების კლასიფიკაცია

სადაზღვევო კონტრაქტები არის კონტრაქტები, რის მიხედვითაც კომპანია იღებს სადაზღვევო რისკს სხვა მხარესგან („დაზღვეული“), იმის შესახებ, რომ ის აუნაზღაურებს მას ან სხვა მოსარგებლეს ზარალს განსაზღვრულ გაურკვეველ სამომავლო შემთხვევებში („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც ნეგატიურად მოქმედებს დაზღვეულზე ან სხვა მოსარგებლეზე. სადაზღვევო რისკი განსხვავდება ფინანსური რისკისგან. ფინანსური რისკი ეხება საპროცენტო განაკვეთის, ფასიანი ქაღალდების და სასაქონლო ფასების, სავალუტო კურსების, ფასების და განაკვეთების ინდექსების, საკრედიტო რეიტინგის და ინდექსების ან სხვა ცვლადების მომავალში შესაძლო ცვლილებებს, სადაც არაფინანსური ცვლადი არ არის განსაზღვრული კონტრაქტის მხარისათვის. სადაზღვევო კონტრაქტი შეიძლება ატარებდეს გარკვეულ ფინანსურ რისკს. სადაზღვევო რისკი კლასიფიცირდება მნიშვნელოვნად მხოლოდ მაშინ, როცა სადაზღვევო შემთხვევამ კომპანიისთვის შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურება. სადაზღვევო კონტრაქტი, კლასიფიკაციის შემდეგ რჩება ასეთად სანამ ყველა უფლება და მოვალეობა არ არის ამოწურული ან ვადაგასული. ისეთი კონტრაქტები, რითაც ხდება უმნიშვნელო სადაზღვევო რისკების კომპანიისთვის გადაცემა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური გარანტიების კონტრაქტები მიღებულია როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.



**(ii) კონტრაქტების აღიარება და შეფასება**

**პრემიები**

ბრუტო მოზიდული პრემია მოიცავს წლის განმავლობაში გამოწერილ პრემიებს, იმის მიუხედავად მთლიანად შეესაბამება შემდეგ საანგარიშო პერიოდს თუ ნაწილობრივ. პრემიები ნაჩვენებია შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოების ჩათვლით. პრემიის გამომუშავებული ნაწილი აღიარებულია შემოსავლად. პრემიები გამომუშავდება პოლისის ძალაში შესვლიდან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად (პროპორციულად). სადაზღვევის პრემია აღიარებულია ხარჯად ასევე ყოველდღიურად (პროპორციულად). სადაზღვევის პრემიის ის ნაწილი რომელიც არ არის აღიარებული ხარჯად აღიქმება როგორც წინასწარ გაწეული ხარჯი.

**პოლისების გაუქმება**

პოლისი უქმდება, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სადაზღვევო პოლისის მფლობელს არ სურს ან არ შეუძლია პოლისით გათვალისწინებული პრემიების გადახდების შემდგომი წარმოება (გაგრძელება). აქედან გამომდინარე, გაუქმება, უმეტესწილად, გავლენას ახდენს იმ პოლისებზე, სადაც პრემიის გადახდა ხდება შენატანების სახით პოლისის ვადის მანძილზე. გაუქმებები აღირიცხება მოზიდულ ბრუტო პრემიისგან განცალკევებულად.

**გამომუშავებული პრემიის რეზერვი**

გამომუშავებული პრემიის რეზერვი მოიცავს ბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო წლის განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალ - ცალკე ყოველ სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად (პროპორციულად).

**სადაზღვევო ზარალები**

დამდგარი ზარალები ნეტო მოიცავს საანგარიშგებო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ ზარალებს ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის მოძრაობასთან ერთად. ასანაზღაურებელი ზარალები მოიცავს კომპანიის მიერ მომხდარი, მაგრამ ასანაზღაურებელი ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების რეზერვების გამოთვლებს საანგარიშგებო პერიოდის უკანასკნელი დღისთვის, როგორც გაცხადებულის ასევე განუცხადებლის.

ასანაზღაურებელი ზარალები დგინდება ზარალების ინდივიდუალური განხილვის და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვების გათვლებით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე განჭვრეტადი მოვლენები, ისეთი როგორიცაა ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების ცვლილებები და წარსული გამოცდილებები და ტრენდები. ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის დისკონტირება არ ხდება.

დაგეგმილი სადაზღვევის და რეგრესების მისაღები თანხები აღიარებულია როგორც აქტივი. სადაზღვევის და რეგრესების ამოღება დგინდება იგივენაირად, როგორც ასანაზღაურებელი ზარალები.

წინა წელს დარეგულირებული ზარალების ოდენობების კორექტირებები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდით, როცა კორექტირება არის გაკეთებული და მატერიალურობის შემთხვევაში ცალკეა განმარტებული. გამოყენებული მეთოდების და გათვლების გადახედვა ხდება რეგულარულად.



**(iii) გადაზღვევა**

კომპანია გადაზღვევას ახორციელებს ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას სადაზღვევო ზარალის ლიმიტირების მიზნით. გადაზღვევის ვალდებულება კომპანიის მიმართ არ ათავისუფლებს კომპანიას ვალდებულებებისგან დაზღვეულთა წინაშე.

გადამზღვევლის წილი პრემიებში და ანაზღაურებებში წარმოდგენილია სრული შემოსავლის და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში (ბრუტო).

გადაზღვევის აქტივები მოიცავს მოთხოვნებს გადამზღვეველი კომპანიებიდან გადაზღვეულ სადაზღვევო ვალდებულებებზე. გადაზღვევიდან ამოსაღები თანხების შეფასება შეესაბამება გადაზღვევის პოლიტიკასთან ასოცირებულ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვსა და დარეგულირებულ ზარალებს.

გადაზღვევის მიღებული პრემია აღირიცხება მოზიდული პრემიის ანალოგიურად სადაზღვევო პროდუქტის და სახეობის გათვალისწინებით.

გადაზღვევიდან მისაღები თანხებს გაუფასურების შეფასება უტარდებათ ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის. გაუფასურება ხდება იმ შემთხვევაში თუკი მოვლენები ან გარემოებები მიუთითებენ, რომ კომპანიამ შესაძლოა სრულად ვერ ამოიღოს მოთხოვნებიდან კუთვნილი თანხები.

გადაზღვევის კონტრაქტებად აღირიცხება მხოლოდ ის კონტრაქტები, რომლებიც ითვალისწინებს სადაზღვევო რისკის გადაცემას. ის კონტრაქტები, რომლებიც არ ითვალისწინებს არსებითი სადაზღვევო რისკის გადაცემას აღირიცხება როგორც ფინანსური ინსტრუმენტი.

**(iv) გადავადებული აკვიზიციური ხარჯი**

პერიოდის განმავლობაში გაწეული ის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მოსალოდნელია, რომ ეს დანახარჯები მომავალში ანაზღაურდება მიღებული სადაზღვევო პრემიებიდან. გადავადებული აკვიზიციური ხარჯი მცირდება გაუფასურებულ პოლისებზე გასაცემი საკომისიოს ოდენობით, რომელიც დაკავშირებულია მომავალ პერიოდთან.

**(v) ვალდებულებების ადეკვატურობის ტესტი**

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულების შესაბამისობის შემოწმება, გამოუმუშავებული პრემიების საკმარისობის უზრუნველსაყოფად, გადავადებული აკვიზიციური ხარჯის აქტივების გამოვლენით. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირებისა და მათ უზრუნველსაყოფად გაწეული საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი და შესაბამისი არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება, თუ საჭიროა იქმნება დამატებითი რეზერვი. ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

**(vi) სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები**

სადაზღვევო მოთხოვნები წარმოქმნილი დამზღვევიდან, გადამზღვევლებისგან და აგენტებისგან წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და აღირიცხება როგორც სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები და არა როგორც სადაზღვევო რეზერვები ან სადაზღვევის



აქტივები. კომპანია რეგულარულად ახდენს სადაზღვევო მოთხოვნების შეფასებას გაუფასურებაზე.

**(d) ფული და ფულის ეკვივალენტი**

კომპანია ფულად და ფულის ეკვივალენტად აღრიცხავს ხელზე არსებულ ფულად ნაშთებსა და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს.

**(e) ფინანსური ინსტრუმენტები**

**(i) კლასიფიკაცია**

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არა-დერივატიულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- კომპანია მიზნად ისახავს დაუყოვნებლივ ან ახლო ვადებში გაყიდოს იგი;
- კომპანია თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული აქტივის მოგებაში ან ზარალებში ასახვით.
- თავდაპირველი აღიარებისას კომპანია დაადგენს მას, როგორც გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივს.

**(ii) აღიარება**

კომპანია თავდაპირველად აღიარებს ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს, როდესაც კომპანია გახდება ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ერთ-ერთი მხარე. ფინანსური აქტივების შეძენა აღირიცხება გარიგების თარიღით.

**(iii) შეფასება**

ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ფინანსური აქტივების შეფასება ხდება მათი სამართლიანი ღირებულების მიხედვით, იმ ტრანზაქციის ხარჯების დაქვითვის გარეშე, რომელიც შეიძლება დადგეს გაყიდვის ან სხვაგვარად განკარგვის შედეგად, გარდა სესხების და დებიტორული დავალიანებებისა, რომელიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულება დაიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. პრემიები და დისკონტები, თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით, შედის სათანადო ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

**(iv) სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპი**

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რაც შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვით ან გადახდილ იქნას ვალდებულების გადაცემით ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით, სადაც მოცემული თარიღისათვის კომპანიას აქვს შესვლის უპირატესობა. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს მისი შეუსრულებლობის რისკს.



როდესაც შესაძლებელია, კომპანია ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას ასახავს აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების მიხედვით. ბაზარი მიიჩნევა აქტიურად თუ საკმარისი აქტივებსა და ვალდებულებებზე გარიგებები ხდება საკმარისი მოცულობითა და სიხშირით, რომ ფასებზე ინფორმაცია მუდმივ რეჟიმში იყოს ხელმისაწვდომი.

როდესაც აქტიურ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია იყენებს შეფასების ტექნიკას სადაც მაქსიმალურად იყენებს ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად არახელმისაწვდომ მონაცემებს. არჩეული შეფასების ტექნიკა მოიცავს ყველა ფაქტორს, რაც ბაზრის მონაწილეებმა შეიძლება მხედველობაში მიიღონ სხვადასხვა გარემოებებისას.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, რაც გულისხმობს გადახდილ ან მიღებულ ანაზღაურებას. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან და სამართლიანი ღირებულება არ არის დაფუძნებული იდენტური აქტივის ან ვალდებულების კოტირებულ ფასზე აქტიურ ბაზარზე, ასევე არ არის დაფუძნებული შეფასების ტექნიკაზე, რომელიც იყენებს ხელმისაწვდომ ბაზრის მონაცემებს, ფინანსური ინსტრუმენტი ამ დროს თავდაპირველად უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით. უნდა მოხდეს სამართლიანი ღირებულებას და გარიგების ფასს შორის სხვაობის კორექტირება, რაც აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის ვადის გათვალისწინებით, მაგრამ არაუგვიანეს იმ თარიღისა, როდესაც შეფასება იქნება დადასტურებული ხელმისაწვდომი ბაზრის მონაცემით ან როდესაც გარიგება დასრულდება.

თუ სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ აქტივსა და ვალდებულებას აქვს გაყიდვის და ყიდვის ფასი, კომპანია აქტივებს და გრძელვადიან პოზიციებს აღიარებს გაყიდვის ფასით, ხოლო ვალდებულებებს და მოკლევადიან პოზიციებს ყიდვის ფასით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიებს შორის ცვლილებას კომპანია აღიარებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როცა ამ ცვლილებას ადგილი ჰქონდა.

#### (v) მოგება და ზარალი შემდგომი შეფასებისას

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოგების ან ზარალის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ფინანსური აქტივი ან ვალდებულება ჩამოწერილი ან გაუფასურებულია ამორტიზაციის მეშვეობით.

#### (vi) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები ამ აქტივზე ან ამ აქტივიდან ფულადი ნაკადები წყდება ან, როდესაც კომპანია გადასცემს აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს. ნებისმიერი უფლება ან ვალდებულება, რომელიც დარჩა აქტივის გადაცემიდან აღიარდება როგორც აქტივი ან ვალდებულება. ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც იგი ამოწურულია.



(vii) ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და ნეტო ოდენობა აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ არსებობს გაქვითვის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება და ასევე, სახეზეა გაქვითვის ან აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულების ერთდროულად დარეგულირების განზრახვა.

(f) ძირითადი საშუალებები

(viii) საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების თანხებით.

როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს ძირითად კომპონენტებს, რომელთაც განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღრიცხულია, როგორც ძირითადი საშუალებების განცალკევებული აქტივები.

(ix) ცვეთა

ცვეთა აქტივებს ერიცხება მათი სასარგებლო ვადის პროპორციულად წრფივი მეთოდის გამოყენებით და აღირიცხება მოგება ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის დარიცხვა იწყება შეძენის დღიდან ან კომპანიის მიერ შექმნილი აქტივების შემთხვევაში იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზადაა გამოსაყენებლად. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სასარგებლო მომსახურების ვადებია:

|                                     |          |
|-------------------------------------|----------|
| შენობები                            | 20 წელი  |
| საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა | 3-5 წელი |
| მანქანები                           | 5 წელი   |
| სხვა                                | 3-5 წელი |

(g) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებად კლასიფიცირდება ის ქონება, რომელიც გამოიმუშავებს საიჯარო შემოსავალს ან მიმართულია კაპიტალის გაზრდისკენ, ან ორივე ერთად, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ქონება გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის ან განსაზღვრულია მისი რეალიზაცია ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საინვესტიციო ქონებას. ღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის ხარჯებს, ასევე, ნებისმიერ სხვა ხარჯებს, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული აქტივების სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების დანახარჯების გამოკლებით.

(h) არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების დანახარჯების გამოკლებით.

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



ამორტიზაცია აქტივებს ერიცხება მათი სასარგებლო ვადის პროპორციულად წრფივი მეთოდის გამოყენებით და აღირიცხება მოგება ზარალის ანგარიშგებაში. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება სამიდან-ხუთ წლამდე.

**(i) გაუფასურება**

**(i) ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით**

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით ძირითადად არის სესხები და მოთხოვნები („სესხები და მოთხოვნები“). კომპანია რეგულარულად აფასებს სესხებს და მოთხოვნებს გაუფასურებაზე. სესხები და მოთხოვნები გაუფასურდება და გაუფასურების ზარალი დგება მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ რიგი გარემოებების გამო უნდა შეიცვალოს თავდაპირველად აღიარებული სესხების და მოთხოვნების მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება.

კომპანია თავდაპირველად აფასებს გაუფასურების ობიექტურ ნიშნებს ინდივიდუალურად იმ სესხებზე და მოთხოვნებზე რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია, დანარჩენებზე შეფასება ხდება კოლექტიურად.

თუ კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს სესხების და მოთხოვნების ინდივიდუალურად შეფასების და გაუფასურების ობიექტური ნიშნები, მაშინ მათ შეიყვანს ჯგუფში იგივე საკრედიტო რისკის მახასიათებლებით და მოახდენს გაუფასურების შეფასებას კოლექტიურად. დანარჩენი სესხები და მოთხოვნები რომლების გაუფასურებაც ფასდება ინდივიდუალურად, არ ხდება კოლექტიურად შეფასების ჯგუფში.

იმ შემთხვევაში თუ არის გაუფასურების ზარალის დადგომის ნიშნები, ზარალის ოდენობა იზომება სესხების და მოთხოვნების საბალანსო ღირებულების და მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების სხვაობით. მათ შორის გარანტიებიდან და უზრუნველყოფებიდან ამოღებული ფულადი ნაკადები, რომელიც დისკონტირებულია სესხების და მოთხოვნების საწყისი საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასების საფუძველი არის კონტრაქტებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და ისტორიული დანაკარგების გამოცდილება, რომელიც დაკორექტირებულია შესაბამისი ინფორმაციით, რომელიც ასახავს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას.

**(ii) არაფინანსური აქტივები**

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს, ხომ არ არის რაიმე ინდიკატორი იმისა, რომ აქტივები (გარდა გადავადებული გადასახადებისა) გაუფასურებულია. არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ოდენობა აღემატება რეალურ ღირებულებას მინუს ხარჯები და მათ ღირებულებას გამოყენებაში. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადები დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებაზე გადასახადებამდე დისკონტირების განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულების და აქტივისთვის სპეციფიური რისკის მიმდინარე საბაზრო შეფასებას. იმ აქტივებისთვის, რომელიც არ წარმოქმნის სხვა აქტივებისგან თავისუფალ ფულად ნაკადებს, ანაზღაურებადი ოდენობა განსაზღვრულია იმ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ისინი



მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალი აღიარებულია მაშინ, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება ან მისი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეული აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების შედეგი აღიარდება როგორც მოგება ან ზარალი, ხოლო მისი აღდგენა ხდება მაშინ, როცა ხდება ცვლილება ანაზღაურებად ღირებულების გამოთვლებში. გაუფასურების ზარალი აღდგება იმ ოდენობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს საწყის საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალის აღიარებამდე (ცვეთის და ამორტიზაციის გარეშე).

**(j) ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება როდესაც კომპანიას აქვს წარსული მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული), ამავე დროს სავარაუდოა, რომ კომპანიას მოუწევს ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გაცემა და ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებით საპროცენტო განაკვეთით (დაბეგვრამდე), რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულების სპეციფიკურ რისკებს.

**(k) საწესდებო კაპიტალი**

**(i) დივიდენდები**

უნარი კომპანიისა - განაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები, წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებისა და რეგულაციების საგანს.

საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებული დივიდენდები - აისახება, როგორც დივიდენდების გამოცხადების პერიოდისათვის გაუნაწილებელი მოგების გამოყენება.

**(l) დაბეგვრა**

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, იმ ოდენობის გარდა რაც უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში აღიარებას. ამ შემთხვევაში ის აღიარებულია ერთობლივ შემოსავალში ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახდელი წლის დასაბეგრ მოგებაზე, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი განაკვეთის მიხედვით. ასევე წინა წლის გადასახადებში ცვლილების შედეგად წარმოშობილი გადასახდელი.

გადავადებული მოგების გადასახადი აღირიცხება დროებით განსხვავებისთვის საანგარიშგებო პერიოდის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და დასაბეგრ ოდენობას შორის. დროებითი სხვაობები არ წარმოიქმნება გუდვილის შემთხვევაში, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება წარმოიქმნება გუდვილის თავდაპირველი აღიარების შედეგად ან სხვა აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებისას, ისეთი ტრანზაქციის შედეგად, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და როდესაც ესეთი აღიარება გავლენას არ მოახდენს არც საგადასახადო და არც სააღრიცხვო მოგებაზე; გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიქმნება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების შესახებ დაშვებებზე, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით.



გადავადებული გადასახადი აღიარებულია იმ ზომით რომ შესაძლო სამომავლო დასაბეგრი მოგება გამოყენებული იქნას დროებითი სხვაობების, გამოუყენებელი გადასახადების და მოგებების დასაფარად. გადავადებული გადასახადი შეზღუდულია იქამდე რომ შესაძლო შესაბამისი საგადასახადო სარგებელი იქნას გამოყენებული.

**(მ) საპროცენტო შემოსავალი, ხარჯები და საკომისიო შემოსავალი**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება მოგებაში ან ზარალში, აქტივების/ვალდებულებების მოქმედი საპროცენტო განაკვეთის ან აქტივის/ვალდებულების მცურავი განაკვეთის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი მოიცავს ნებისმიერი დისკონტის ამორტიზაციას ან პრემიას ან სხვა სხვაობებს თავდაპირველი საბალანსო ღირებულებასა და მისი გადახდის დღეს შორის - საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

სხვა მოსაკრებლისა და საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი სერვისის უზრუნველყოფისას.

**(ნ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელიც არ არის ძალაში შესული**

რამოდენიმე ახალი სტანდარტი, ცვლილება და ინტერპრეტაცია არ არის შესული ძალაში 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად ისინი არ არის გამოყენებული ამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. ქვემოთ მოყვანილი გაცხადებული ცვლილებები ან სიახლეები გავლენას იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე. კომპანია აპირებს, რომ მიიღოს აღნიშნული სიახლეები მას შემდეგ რაც ისინი შევა ძალაში.

- ბასს 27 (2011) *ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება* ძალაში შევა საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომლებიც იწყება 2014 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. შეცვლილი სტანდარტი ავითარებს და უფრო ცხადს ხდის არსებულ ბასს 27 (2008) სააღრიცხვო და განმარტებების მოთხოვნებს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის. ბასს 28 (2008) და ბასს 31 მოთხოვნები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის გაერთიანდა ბასს 27-ში (2011) ბასს 27 (2011) ადრეული დანერგვა დაშვებულია, ისევე როგორც ფასს 10, ფასს 11, ფასს 12 და ბასს 28 (2011).
- ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* ძალაში შევა საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც დაიწყება 2017 წლის 1 იანვარის მდგომარეობით. ახალი სტანდარტები გამოიცემა ეტაპობრივად და ჩაანაცვლებს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს ბასს 39-ს *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ფასს 9-ს პირველი ნაწილი გამოიცა 2009 წლის ნოემბერში და იგი უკავშირდება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და გაზომვას. მეორე ნაწილი, ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა, გამოიცა 2010 წლის ოქტომბერში. სტანდარტის დარჩენილი ნაწილი გამოიცემა 2014 წელს. კომპანიას გათვინცნობიერებული აქვს რომ ახალი სტანდარტს შემოაქვს ბევრი ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში, და იმას, რომ მას სავარაუდოდ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. გავლენის ანალიზი გაკეთდება მაშინ როცა სტანდარტის მომდევნო ფაზები გამოიცემა. კომპანია არ აპირებს მათ წინსწრებით დანერგვას. სტანდარტი არ არის ჯერ მიღებული ევროკავშირში.
- სხვადასხვა *ფასს-ის გაუმჯობესებები* განხორციელდა სტანდარტების მიხედვით. ყველა ცვლილება რომელიც განაპირობებს აღრიცხვიანობის ცვლილებას წარდგენაში, აღიარებაში ან შეფასებაში ძალაში შევა 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ გაუმჯობესების ეფექტი თავის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე.



#### 4 სადაზღვევო რისკების მართვა

##### (a) რისკის მართვის მიზნები და სადაზღვევო რისკის შემცირების პოლიტიკა

კომპანიის ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკს, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან. ასეთი რისკები უკავშირდება ქონებას, ვალდებულების შესრულებას, უბედურ შემთხვევას, ჯანმრთელობას, ტვირთს ან სხვა საფრთხეებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევისგან. ამრიგად კომპანია დგას სადაზღვევო კონტრაქტებიდან გამომდინარე ზარალების დროის და სიმძიმის მიხედვით გაურკვევლობის წინაშე. მთავარი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო შემთხვევები თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, თუ რა იყო დადგენილი სტატისტიკური ტექნიკური საშუალებებით.

სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე კომპანია ასევე დგას საბაზრო რისკის წინაშე. კომპანია სადაზღვევო რისკებს მართავს დამკვიდრებული სტატისტიკური ტექნიკური საშუალებების მეშვეობით, რისკების გადაზღვევით, ანდერაიტინგული ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით, საფასო გაიდლაინით და გამოვლენილი საკითხების მონიტორინგით.

##### (i) ანდერაიტინგის სტრატეგია

კომპანიის ანდერაიტინგის სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს პორტფელის დივერსიფიკაცია ისე, რომ იგი ყოველთვის შეიცავდეს სხვადასხვა სახეობის არა-კორელაციურ რისკებს და ამავე დროს ყველა სახეობის რისკი გადანაწილებული იყოს პოლისების დიდ რაოდენობაზე. მენეჯმენტის რწმენით, ეს მიდგომა ამცირებს უარყოფით შედეგებს.

ანდერაიტინგის სტრატეგია ჩამოყალიბებულია ბიზნეს გეგმაში, რომელიც ადგენს, რომ ბიზნესის კლასები და ქვე-კლასები უნდა იყოს გაწერილი. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის გაიდლაინებით, რომლებიც განსაზღვრავს ანდერაიტინგის დეტალურ წესების თითოეული პროდუქტისთვის. გაიდლაინები შეიცავს სადაზღვევო კონცეფციას და პროცედურებს, აღებული რისკის განმარტებებს, ვადებს და პირობებს, უფლებებს და ვალდებულებებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების შაბლონებს და პოლისების ნიმუშებს, ტარიფების შესახებ განმარტებებს და სხვა ფაქტორებს რომელიც გავლენას მოახდენს შესაბამის ტარიფებზე. ტარიფების გამოთვლა ეფუძნება ალბათობას და ცვალებადობას.

გაიდლაინების მოთხოვნების შესრულებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის მენეჯმენტი მიმდინარე რეჟიმში.

##### (ii) გადაზღვევის სტრატეგია

სადაზღვევო რისკის შემცირების მიზნით, კომპანია იყენებს გადაზღვევის პროგრამას. გადაზღვევის ბიზნესის დიდი ნაწილი ეფუძნება ფაკულტატურ და ასევე გადაზღვევის კვოტაზე/დანაკარგის ექსცედენტზე დამყარებულ პრინციპს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საკუთარ თავზე დატოვებული სადაზღვევო რისკის ლიმიტი ერთ კონტრაქტზე არ აღემატებოდეს კაპიტალის 3 %-ს. კომპანია ასევე ყიდულობს პროპორციულ გადაზღვევას დაზღვევის ძირითად სახეობებში, რათა თავიდან აიცილოს კუმულატიური ზარალების დადგომა, რომელიც შეიძლება მოხდეს ერთი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად.

გადამზღვევებისგან მისაღები თანხები შეიცავს საკრედიტო რისკს და შესაბამისად აღირიცხება შესაძლო დანაკარგების გამოკლებით. კომპანია რეგულარულად ახორციელებს გადამზღვევის კრედიტუნარიანობის შემოწმებას და გადაზღვევის კონტრაქტების შეფასებას. კომპანია არ ახორციელებს ლიმიტირებული გადაზღვევის (Stop Loss) პროგრამას.



(b) სადაზღვევო კონტრაქტების ვადები და პირობები და დაფარული რისკების ზუნება

სადაზღვევო კონტრაქტების პირობები რომელსაც მატერიალური გავლენა აქვთ კონტრაქტებიდან გამომდინარე მომავალი ფულადი ნაკადების რაოდენობაზე, დროულობაზე და გაურკვევლობაზე მოყვანილია ქვემოთ. ამასთანავე, ეს გვაძლევს კომპანიის მთავარი პროდუქტების და მათგან გამომდინარე რისკების მართვის გზების შეფასების საშუალებას.

(i) სამედიცინო დაზღვევა

*პროდუქტის თვისებები*

კომპანიის სადაზღვევო პორტფელის უდიდესი ნაწილი უკავშირდება სამედიცინო დაზღვევას. ეს კონტრაქტები ანაზღაურებს სამედიცინო ჩარევების და ჰოსპიტალურ ხარჯებს, ამასთანავე იგი შეიცავს ორ კომპონენტს: კორპორატიულ და სახელმწიფო პროექტებს.

*რისკის მენეჯმენტი*

სამედიცინო დაზღვევა ფარავს სამედიცინო ჩარევის ძირითად საჭიროებებს. კომპანია რისკებს მართავს კორპორატიული და სახელმწიფო პოლისებით და სამედიცინო გამოკვლევებით ისე, რომ საფასო პოლიტიკას განსაზღვრავს მიმდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობა. სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულებს კომპანია მომსახურებას უწევს მისი შვილობილი კლინიკის მეშვეობით, რომელსაც ფიქსირებულ თანხას უხდის თითოეული დაზღვეულისთვის, რეალური დანახარჯების მიუხედავად.

(ii) ქონების დაზღვევა

*პროდუქტის თვისებები*

კომპანია გასცემს ქონების დაზღვევის პოლისებს. ეს მოიცავს ფიზიკური პირის ქონების და იურიდიული პირის ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა დაზღვეულს უნაზღაურებს მათი მატერიალური ქონების მთლიან ან ნაწილობრივ ზიანს ლიმიტის შესაბამისად.

ზარალის გამომწვევი შემთხვევები, რომელიც იწვევს შენობის ან შიგთავსის დაზიანებას, ხდება უცხად (მაგალითად ხანძარი და ქურდობა) და გამომწვევი მიზეზის დადგენა ადვილად განსასაზღვრია. ამრიგად ზარალი ცხადდება დაუყოვნებლივ და შეიძლება დარეგულირდეს გადაუდებლად. ქონების დაზღვევს ზარალები შესაბამისად განეკუთვნება მოკლე დროში დარეგულირებად შემთხვევებს.

*რისკების მართვა*

მთავარი რისკები რომელიც უკავშირდება ამ პროდუქტს არის ანდერატიცინგული რისკი, კონკურენტული რისკი, ზარალების გამოცდილების რისკი (მათ შორის სხვადასხვაგვარი ბუნებრივი კატასტორფა). კომპანიას ასევე გააჩნია გამცხადებლების მიერ შედეგების ხელოვნურად გაზრდის და არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკი.



ანდერატიცინგული რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია არ უყენებს შესაბამის პრემიებს სხვადასხვაგვარი ქონების დაზღვევას. ფიზიკური პირების ქონების დაზღვევის შემთხვევაში უმრავლესობას ექნება ერთგვარი რისკის კატეგორია. თუმცა იურიდიული პირების ქონების დაზღვევის შემთხვევაში ეს ასე შეიძლება არ იყოს. ქონების დაზღვევის შეთავაზებები შეიცავს მდებარეობის, ბიზნესის სახეობის და უსაფრთხოების ზომების უნიკალურ კომბინაციებს. პრემიის დათვლის ერთგვაროვანი მიდგომა შეიძლება იყოს სუბიექტური, შესაბამისად რისკიანი.

რისკების მართვა ძირითადად ხდება ფასების პოლიტიკით და გადაზღვევით. კომპანია საკუთარი ქონების რისკების გადაზღვევას ახორციელებს დანაკარგის/ზარალის გადამეტების პროგრამით, რაც ამცირებს თითოეული პოლისზე კომპანიის მოსალოდნელ ზარალს 60 ათას ლარამდე.

### (iii) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა

#### პროდუქტის თვისებები

საავტომობილო დაზღვევა მოიცავს ძარის მთლიან დაზღვევას („კასკო“) და მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევას („MTPL“). კასკოს კონტრაქტების მიხედვით იურიდიული და ფიზიკურ პირებს უნაზღაურდებათ მათი ავტომობილების მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით მიყენებული ზარალი. „MTPL“-ს მიხედვით ნაზღაურდება ქონების ზიანით, სიკვდილით ან სხეულის დაზიანებით გამოწვეული მესამე პირის მიმართ გადასახდელი კომპენსაცია. შესაბამისად საავტომობილო დაზღვევა მოიცავს სხვადასხვა დაფარვას. მოკლე დროში დარეგულირებად შემთხვევებად მიიჩნევა დაზღვეულის ავტომობილის მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით გამოწვეული ზარალების ანაზღაურება. სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზარალების დეტალების დადგენა უფრო რთულია და მოითხოვს მეტ დროს.

#### რისკების მართვა

ზოგადად საავტომობილო დაზღვევის ზარალების გაცხადებებს შორის ინტერვალი მცირეა და ზარალების სირთულე შედარებით დაბალი. მთლიანობაში დაზღვევის ამ სახეობის ზარალების ვალდებულებები განეკუთვნება საშუალო რისკს. კომპანია აკვირდება და რეაგირებს აღდგენის და სხეულის დაზიანების ხარჯების, ასევე ქურდობის სიხშირის და უბედური შემთხვევით გამოწვეული ზარალების ტენდენციებს.

ზარალების სიხშირე გარკვეულწილად დამოკიდებულია ამინდის მდგომარეობაზე, ზარალების მოცულობა უფრო მაღალია ზამთრის პერიოდში. საავტომობილო დაზღვევის რისკების მართვა ხორციელდება ზარალების შესახებ საკუთარი სტატისტიკური ბაზის მიხედვით.

რისკების გადაზღვევას კომპანია ახორციელებს ფაქულტატური გადაზღვევის კონტრაქტების მეშვეობით, რომლის მეშვეობითაც კომპანიის ზარალის ოდენობა თითოეულ შემთხვევაზე არ აღემატება 50 ათას ლარს.



(c) სადაზღვევო რისკების კონცენტრაციები

კომპანიის სადაზღვევო რისკის მთავარი ასპექტი არის სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის სიმჭიდროვე, მაგალითად შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევა ან შემთხვევების რიგი, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან შინაარსობრივად დაკავშირებულ კონტრაქტებზე. სადაზღვევო რისკის კონცენტრაციის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ რისკი შეიძლება აკუმულირებული იყოს მთელ რიგ ინდივიდუალურ სახეობებში.

რისკის კონცენტრაცია შესაძლოა წარმოიშვას იშვიათი და დიდი გავლენის მქონე შემთხვევებიდან, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, იმ შემთხვევებში როდესაც ანდერაიტინგი ფოკუსირებულია კონკრეტულ ჯგუფზე კერძოდ კი კონკრეტულ გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

კომპანიაში რისკების მართვის მთავარი მეთოდი არის ორგვარი. პირველი, რისკის მართვა ხდება ანდერაიტინგის კუთხით. დაუშვებელია ანდერაიტერმა რისკი შეაფასოს და აიღოს თუ მოგება არ იქნება რისკის შესაბამისი. მეორე არის გადაზღვევა. კომპანია მრავალი სახეობისთვის (სადაზღვევო პროდუქტისთვის) ყიდულობს გადაზღვევას. კომპანია ადგენს გადაზღვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სარგებელს მიმდინარე რეჟიმში.

(d) გადაზღვევის რისკი

დაზღვევის რისკების შესამცირებლად კომპანია იყენებს გადაზღვევის სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც ფარავს ინდივიდუალურ და პორტფელის რისკებს. აღნიშნული გადაზღვევის პროგრამები ახდენს რისკების განაწილებას და ამცირებს ზარალების ეფექტს. კომპანიის მიერ დატოვებული რისკის ოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული რისკის შეფასებაზე, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ აღემატება კაპიტალის 3%-ს თითოეულ პოლისზე.

გადაზღვევის კონტრაქტის შესაბამისად გადამზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი მისი მოხდენის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას გაფორმებული აქვს გადაზღვევის ხელშეკრულებები, იგი არ თავისუფლდება პირდაპირი ვალდებულებებისგან პოლისის მფლობელთა მიმართ, აქედან გამომდინარე, საკრედიტო რისკი არსებობს გაფორმებულ გადაზღვევასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა გადამზღვევმა ვერ შეძლოს, გადაზღვევის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

გადამზღვეველის შერჩევისას კომპანიის განიხილავს მის გადახდისუნარიანობას, რაც დგინდება გადამზღვეველის რეიტინგის და კომპანიის შეფასების მიხედვით.



(e) სადაზღვევო ზარალების დინამიკა

სადაზღვევო ზარალების დინამიკა არის განმარტებული იმისთვის რომ მოხდეს კომპანიის სადაზღვევო რისკის ილუსტრაცია. ცხრილში მოყვანილი ციფრებით ხდება ზარალის მოხდენის წლის ბაზაზე გადახდილი ზარალების შედარება ამ ზარალებისთვის შექმნილ რეზერვებთან. ცხრილის ზედა ნაწილი აჩვენებს მიმდინარე კუმულატიური ზარალების დაშვებებს და ასევე იმას თუ როგორ შეიცვალა შეფასებული ზარალები მომდევნო ანგარიშგების თუ ზარალის მოხდენის წლის ბოლოსთვის. დაშვებები იზრდება ან კლებულობს იმის მიხედვით, რომ ზარალების გადახდა ხდება ან უფრო მეტი ინფორმაცია ხდება ცნობილი გადაუხდელი ზარალების სიხშირეზე და სიმძიმეზე. ცხრილის ქვედა ნაწილი გვიჩვენებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნაჩვენები რეზერვის და კუმულატიური ზარალების შეფასებების შეჯერებას.

ცხრილი ისტორიულ პერსპექტივით ინფორმაციას გვაძლევს გადაუხდელი ზარალების დაშვებების პერსპექტივაზე, რომელიც გაკეთდა წინა წლებში. ამავე დროს ამ ფინანსური ანგარიშგების მკითხველი ყურადღებით უნდა იყოს წარსულის ხარვეზებზე მიმდინარე ასანაზღაურებელ ზარალების ნაშთებთან დაკავშირებით. კომპანია თვლის, რომ დაშვება მთლიან ასანაზღაურებელ ზარალებზე 2013 წლის ბოლოსთვის ადეკვატურია. თუმცა გამომდინარე დარეზერვების პროცესში გარკვეული განუსაზღვრელობებისა, არ შეიძლება მთლიანად გარანტირებული იყოს ის, რომ ეს ნაშთები ყველამხრივ ადეკვატური იქნება.

ზარალების ანალიზი (ბრუტო)

'000 ლარი

შემთხვევის წელი

აკუმულირებული ზარალების შეფასება

შემთხვევის წლის ბოლოს

- ერთი წლის შემდეგ

- ორი წლის შემდეგ

აკუმულირებული ზარალების შეფასება

აკუმულირებული გადახდები მოცემულ

დღემდე

ზარალები 2011 წლამდე

ბრუტო ზარალების რეზერვები

|                                        | 2011   | 2012   | 2013   | სულ    |
|----------------------------------------|--------|--------|--------|--------|
| შემთხვევის წლის ბოლოს                  | 19,149 | 28,282 | 41,270 |        |
| - ერთი წლის შემდეგ                     | 18,506 | 27,969 |        |        |
| - ორი წლის შემდეგ                      | 18,493 |        |        |        |
| აკუმულირებული ზარალების შეფასება       | 18,493 | 27,969 | 41,270 | 87,732 |
| აკუმულირებული გადახდები მოცემულ დღემდე | 18,060 | 27,441 | 39,167 | 84,668 |
| ზარალები 2011 წლამდე                   | -      | -      | -      | 760    |
| ბრუტო ზარალების რეზერვები              | 433    | 528    | 2,103  | 3,824  |

მენეჯმენტს არ გაუმყდავნებია 2011 წლამდე პერიოდის ინფორმაცია, ვინაიდან პოლისების პირობებიდან გამომდინარე, არსებითად არ არსებობდა მატერიალური განსხვავება ზარალების თანხების მოცულობასა და დროულობასთან დაკავშირებით 2011 წლამდე პერიოდთან მიმართებაში.



## 5 პრემიები

| 2013<br>'000 ლარი                                           | სახელმწიფო<br>სამედიცინო<br>დაზღვევა | კორპორატიული<br>სამედიცინო<br>დაზღვევა | საკუთრების/<br>ქონების<br>დაზღვევა | ავტომაქსის<br>დაზღვევა<br>(კასკო) | MTPL        | სხვა           | სულ            |
|-------------------------------------------------------------|--------------------------------------|----------------------------------------|------------------------------------|-----------------------------------|-------------|----------------|----------------|
| მოზიდული<br>პრემია ბრუტო                                    | 30,972                               | 12,081                                 | 3,958                              | 2,257                             | 259         | 2,313          | 51,840         |
| გაუქმებული<br>პრემია                                        | (4,592)                              | (397)                                  | (531)                              | (134)                             | (13)        | (108)          | (5,775)        |
| ცვლილება<br>გამომუშაებელ<br>პრემიის რეზერვში                | 3,047                                | (331)                                  | 72                                 | 99                                | 6           | 136            | 3,029          |
| <b>ბრუტო<br/>გამომუშაებული<br/>პრემია</b>                   | <b>29,427</b>                        | <b>11,353</b>                          | <b>3,499</b>                       | <b>2,222</b>                      | <b>252</b>  | <b>2,341</b>   | <b>49,094</b>  |
| მინუს:                                                      |                                      |                                        |                                    |                                   |             |                |                |
| გადაზღვევის<br>კუთვნილი პრემია<br>მოზიდულ<br>პრემიაში       | -                                    | -                                      | (2,959)                            | (106)                             | (13)        | (1,064)        | (4,142)        |
| ცვლილება<br>გამომუშაებელ<br>პრემიის<br>გადაზღვევის<br>წილში | -                                    | -                                      | (180)                              | (3)                               | 3           | (284)          | (464)          |
| <b>გადაზღვევის<br/>წილი<br/>გამომუშაებულ<br/>პრემიებში</b>  | <b>-</b>                             | <b>-</b>                               | <b>(3,139)</b>                     | <b>(109)</b>                      | <b>(10)</b> | <b>(1,348)</b> | <b>(4,606)</b> |
| <b>ნეტო<br/>გამომუშაებული<br/>პრემიები</b>                  | <b>29,427</b>                        | <b>11,353</b>                          | <b>360</b>                         | <b>2,113</b>                      | <b>242</b>  | <b>993</b>     | <b>44,488</b>  |

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



**შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო**  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 31 დეკემბერი 2013 წ.

| 2012<br>'000 ლარი                                            | სახელმწიფო<br>სამედიცინო<br>დაზღვევა | კორპორატიული<br>სამედიცინო<br>დაზღვევა | საკუთრების/<br>ქონების<br>დაზღვევა | ავტომაქანის<br>დაზღვევა<br>(კასკო) | MTPL       | სხვა         | სულ            |
|--------------------------------------------------------------|--------------------------------------|----------------------------------------|------------------------------------|------------------------------------|------------|--------------|----------------|
| მოზიდული<br>პრემია ბრუტო                                     | 32,218                               | 9,026                                  | 4,156                              | 2,197                              | 236        | 2,120        | 49,953         |
| გაუქმებული<br>პრემია                                         | (839)                                | (305)                                  | 48                                 | -                                  | 4          | 622          | (470)          |
| ცვლილება<br>გამომუშავებელ<br>პრემიის რეზერვში                | (10,150)                             | (2,668)                                | (887)                              | (470)                              | (72)       | (685)        | (14,932)       |
| <b>ბრუტო<br/>გამომუშავებული<br/>პრემია</b>                   | <b>21,229</b>                        | <b>6,053</b>                           | <b>3,317</b>                       | <b>1,727</b>                       | <b>168</b> | <b>2,057</b> | <b>34,551</b>  |
| მინუს:                                                       |                                      |                                        |                                    |                                    |            |              |                |
| გადამზღვევლის<br>კუთვნილი პრემია<br>მოზიდულ<br>პრემიაში      | -                                    | -                                      | (3,949)                            | (129)                              | (8)        | (1,280)      | (5,366)        |
| ცვლილება<br>გამომუშავებელ<br>პრემიის<br>გადაზღვევის<br>წილში | -                                    | -                                      | 830                                | 28                                 | 1          | 491          | 1,350          |
| <b>გადაზღვევის<br/>წილი<br/>გამომუშავებულ<br/>პრემიებში</b>  | <b>-</b>                             | <b>-</b>                               | <b>(3,119)</b>                     | <b>(101)</b>                       | <b>(7)</b> | <b>(789)</b> | <b>(4,016)</b> |
| <b>ნეტო<br/>გამომუშავებული<br/>პრემიები</b>                  | <b>21,229</b>                        | <b>6,053</b>                           | <b>198</b>                         | <b>1,626</b>                       | <b>161</b> | <b>1,268</b> | <b>30,535</b>  |

2013 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად დაიწყო ჯანმრთელობის ახალი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ბაზისური და ურგენტული სამედიცინო დაზღვევით მოსახლეობის უზრუნველყოფას. გადახდებს სახელმწიფო განახორციელებს პირდაპირ ჰოსპიტალებზე. გადაწყვეტილია ასევე, რომ სახელმწიფო გააუქმებს სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ნაწილს 2014 წლის პირველი აპრილიდან. დარჩენილი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის გაუქმების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული.



## 6 ზარალები

| 2013<br>'000 ლარი                                                   | სახელმწიფო<br>სამედიცინო<br>დაზღვევა | კორპორატიული<br>სამედიცინო<br>დაზღვევა | საკუთრების/<br>ქონების<br>დაზღვევა | ავტომანქანის<br>დაზღვევა<br>(კასკო) | MTPL        | სხვა        | სულ            |
|---------------------------------------------------------------------|--------------------------------------|----------------------------------------|------------------------------------|-------------------------------------|-------------|-------------|----------------|
| დარეგულირებული<br>ზარალები                                          | 29,548                               | 10,933                                 | 161                                | 1,088                               | 203         | 516         | 42,449         |
| გადამზღვევლის<br>წილი                                               |                                      |                                        |                                    |                                     |             |             |                |
| დარეგულირებულ<br>ზარალებში                                          | -                                    | -                                      | (129)                              | (67)                                | (4)         | (264)       | (464)          |
| <b>დარეგულირებული<br/>ზარალები, ნეტო</b>                            | <b>29,548</b>                        | <b>10,933</b>                          | <b>32</b>                          | <b>1,021</b>                        | <b>199</b>  | <b>252</b>  | <b>41,985</b>  |
| მომხდარი, მაგრამ<br>განუცხადებელი<br>ზარალების<br>რეზერვი           | (1,619)                              | (109)                                  | 576                                | 57                                  | (19)        | 253         | (861)          |
| განუცხადებული,<br>მაგრამ<br>დაურეგულირებელი<br>ზარალების<br>რეზერვი | -                                    | 217                                    | -                                  | -                                   | -           | -           | 217            |
| გადამზღვევლის<br>წილი                                               | -                                    | -                                      | (515)                              | -                                   | -           | (322)       | (837)          |
| <b>სულ სადაზღვევო<br/>რეზერვების<br/>ცვლილება</b>                   | <b>(1,619)</b>                       | <b>108</b>                             | <b>61</b>                          | <b>57</b>                           | <b>(19)</b> | <b>(69)</b> | <b>(1,481)</b> |
| <b>ნეტო დამდგარი<br/>ზარალები</b>                                   | <b>27,929</b>                        | <b>11,041</b>                          | <b>93</b>                          | <b>1,078</b>                        | <b>180</b>  | <b>183</b>  | <b>40,504</b>  |

კომპანიას მეკავშირე კომპანია - შპს ჯეოჰოსპიტალთან გაფორმებული აქვს კაპიტალური კონტრაქტი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც შპს ჯეოჰოსპიტალს უხდის ფიქსირებულს თანხას თითოეულ დაზღვეულზე ფაქტიურად მომხდარი ზარალების ოდენობის მიუხედავად. ამრიგად ზარალები და მასთან დაკავშირებული დარეგულირების ხარჯები სრულად იფარება შპს ჯეოჰოსპიტალის მიერ.



**შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო**  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 31 დეკემბერი 2013 წ.

| 2012<br>'000 ლარი                                                                | სახელმწიფო<br>სამედიცინო<br>დაზღვევა | კორპორატიული<br>სამედიცინო<br>დაზღვევა | საკუთრების/<br>ქონების<br>დაზღვევა | ავტომაქსის<br>დაზღვევა<br>(კასკო) | MTPL        | სხვა       | სულ            |
|----------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------|----------------------------------------|------------------------------------|-----------------------------------|-------------|------------|----------------|
| დარეგულირებული<br>ზარალები                                                       | 20,266                               | 6,162                                  | 87                                 | 1,467                             | 297         | 122        | 28,401         |
| გადამზღვევლის<br>წილი                                                            |                                      |                                        |                                    |                                   |             |            |                |
| დარეგულირებულ<br>ზარალებში                                                       | -                                    | -                                      | (73)                               | (37)                              | -           | (10)       | (120)          |
| <b>დარეგულირებული<br/>ზარალები, ნეტო</b>                                         | <b>20,266</b>                        | <b>6,162</b>                           | <b>14</b>                          | <b>1,430</b>                      | <b>297</b>  | <b>112</b> | <b>28,281</b>  |
| მომხდარი, მაგრამ<br>განუცხადებელი<br>ზარალების<br>რეზერვი                        | (1,492)                              | (40)                                   | -                                  | (26)                              | -           | -          | (1,558)        |
| განცხადებული,<br>მაგრამ<br>დაურეგულირებელ<br>ი ზარალების<br>რეზერვი              | 103                                  | (123)                                  | 463                                | 42                                | (39)        | 151        | 597            |
| გადამზღვევლის<br>წილი                                                            | -                                    | -                                      | (451)                              | -                                 | -           | (18)       | (469)          |
| <b>სულ სადაზღვევო<br/>რეზერვების<br/>ცვლილება<br/>ნეტო დამდგარი<br/>ზარალები</b> | <b>(1,389)</b>                       | <b>(163)</b>                           | <b>12</b>                          | <b>16</b>                         | <b>(39)</b> | <b>133</b> | <b>(1,430)</b> |
|                                                                                  | <b>18,877</b>                        | <b>5,999</b>                           | <b>26</b>                          | <b>1,446</b>                      | <b>258</b>  | <b>245</b> | <b>26,851</b>  |

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



## 7 აკვიზიციური ხარჯები

აგენტებისთვის გადახდილი საკომისიოები:

|                                          | 2013         | 2012         |
|------------------------------------------|--------------|--------------|
|                                          | '000 ლარი    | '000 ლარი    |
| სამედიცინო დაზღვევა                      | 1,968        | 1,615        |
| ავტო კასკო (Casco)                       | 504          | 521          |
| მესამე პირის პასუხისმგებლობა             | 48           | 58           |
| ქონების დაზღვევა                         | 74           | 50           |
| სხვა                                     | 182          | 184          |
| <b>აკვიზიციური ხარჯები სულ</b>           | <b>2,776</b> | <b>2,428</b> |
| ცვლილება გადავადებულ აკვიზიციურ ხარჯებში | 518          | (346)        |
| <b>აკვიზიციური ხარჯები წლის მანძილზე</b> | <b>3,294</b> | <b>2,082</b> |

გადავადებული აკვიზიციური ხარჯების მოძრაობის ანალიზი

|                                                  | 2013       | 2012       |
|--------------------------------------------------|------------|------------|
|                                                  | '000 ლარი  | '000 ლარი  |
| გადავადებული აკვიზიციური ხარჯები წლის დასაწყისში | 996        | 650        |
| ცვლილება აკვიზიციურ ხარჯებში                     | (518)      | 346        |
| <b>აკვიზიციური ხარჯები წლის ბოლოს</b>            | <b>478</b> | <b>996</b> |

## 8 მოგება საინვესტიციო საქმიანობიდან და საპროცენტო ხარჯი

|                                                       | 2013         | 2012           |
|-------------------------------------------------------|--------------|----------------|
|                                                       | '000 ლარი    | '000 ლარი      |
| <b>საინვესტიციო შემოსავალი</b>                        |              |                |
| <b>საპროცენტო შემოსავალი</b>                          |              |                |
| გაცემული სესხები                                      | 61           | 1,926          |
| ბანკებში განთავსებული თანხები                         | 388          | 724            |
| <b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>                      | <b>449</b>   | <b>2,650</b>   |
| <b>სხვა საინვესტიციო შემოსავალი/(ხარჯი)</b>           |              |                |
| საკურსო სხვაობის შედეგი                               | (513)        | 299            |
| მოგება სავალუტო ფორვარდის კონტრაქტიდან                | 462          | -              |
| შემოსავალი იჯარაიდან                                  | 235          | -              |
| სხვა                                                  | 403          | 480            |
|                                                       | <b>587</b>   | <b>779</b>     |
| <b>სულ საპროცენტო და სხვა საინვესტიციო შემოსავალი</b> | <b>1,036</b> | <b>3,429</b>   |
| <b>საპროცენტო ხარჯი – გაცემული და აღებული სესხები</b> | <b>(951)</b> | <b>(2,156)</b> |

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



## 9 ადმინისტრაციული ხარჯები

|                                    | 2013         | 2012         |
|------------------------------------|--------------|--------------|
|                                    | '000 ლარი    | '000 ლარი    |
| თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები    | 1,262        | 1,779        |
| ოფისის და სხვა ხარჯები             | 264          | 345          |
| ცვეთა და ამორტიზაცია               | 165          | 109          |
| იურიდიული და სხვა მომსახურება      | 68           | 89           |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები       | 45           | 58           |
| <b>სულ ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>1,804</b> | <b>2,380</b> |

## 10 მოგების გადასახადი

კომპანიის მოქმედ საგადასახადო ტარიფს წარმოადგენს კორპორატიული საგადასახადო ტარიფი – 15% (2012: 15%).

|                                                   | 2013      | 2012        |
|---------------------------------------------------|-----------|-------------|
|                                                   | '000 ლარი | '000 ლარი   |
| საანგარიშგებო წლის მოგების გადასახადი             |           |             |
| მიმდინარე გადასახადი                              | -         | -           |
|                                                   | -         | -           |
| <b>გადავადებული გადასახადის ცვლილება</b>          |           |             |
| დროებითი სხვაობის წარმოშობა და გაუქმება           | 71        | (85)        |
| <b>სულ მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი</b> | <b>71</b> | <b>(85)</b> |

## ეფექტური საგადასახადო ტარიფის რეკონსილაცია

|                                                 | 2013      | 2012        |
|-------------------------------------------------|-----------|-------------|
|                                                 | '000 ლარი | '000 ლარი   |
| (ზარალი)/მოგება გადასახადამდე                   | (1,461)   | 1,712       |
| მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო ტარიფით | (219)     | 257         |
| გამოუქვითავი ხარჯი/(დაუბეგრავი მოგება)          | 290       | (342)       |
|                                                 | <b>71</b> | <b>(85)</b> |



## 11 ძირითადი საშუალებები

| 2013<br>'000 ლარი                      | მიწა და<br>შენობები         | კომპიუტერები        | ავტომანქანები        | ავეჯი და<br>მოწყობილობა         | სულ          |
|----------------------------------------|-----------------------------|---------------------|----------------------|---------------------------------|--------------|
| <b>ფასი</b>                            |                             |                     |                      |                                 |              |
| 1 იანვარი, 2013                        | 2,881                       | 504                 | 84                   | 332                             | 3,801        |
| დამატებები                             | -                           | 145                 | -                    | 30                              | 175          |
| გასვლა/რეკლასიფიკაცია                  | -                           | (80)                | -                    | -                               | (80)         |
| <b>31 დეკემბერი, 2013</b>              | <b>2,881</b>                | <b>569</b>          | <b>84</b>            | <b>362</b>                      | <b>3,896</b> |
| <b>ცვეთა/ამორტიზაცია</b>               |                             |                     |                      |                                 |              |
| 1 იანვარი, 2013                        | 279                         | 372                 | 22                   | 150                             | 823          |
| ცვეთის ხარჯი                           | 121                         | 102                 | 17                   | 40                              | 278          |
| <b>31 დეკემბერი, 2013</b>              | <b>400</b>                  | <b>474</b>          | <b>39</b>            | <b>190</b>                      | <b>1,103</b> |
| <b>ნაშთის საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                             |                     |                      |                                 |              |
| <b>31 დეკემბერი, 2013</b>              | <b>2,481</b>                | <b>95</b>           | <b>45</b>            | <b>172</b>                      | <b>2,793</b> |
| <b>2012<br/>'000 ლარი</b>              | <b>მიწა და<br/>შენობები</b> | <b>კომპიუტერები</b> | <b>ავტომანქანები</b> | <b>ავეჯი და<br/>მოწყობილობა</b> | <b>სულ</b>   |
| <b>ფასი</b>                            |                             |                     |                      |                                 |              |
| 1 იანვარი, 2012 (არააუდ.)              | 300                         | 450                 | 165                  | 299                             | 1,214        |
| დამატებები                             | 2,593                       | 77                  | 64                   | 90                              | 2,824        |
| გასვლა/რეკლასიფიკაცია                  | (12)                        | (23)                | (145)                | (57)                            | (237)        |
| <b>31 დეკემბერი, 2012</b>              | <b>2,881</b>                | <b>504</b>          | <b>84</b>            | <b>332</b>                      | <b>3,801</b> |
| <b>ცვეთა/ამორტიზაცია</b>               |                             |                     |                      |                                 |              |
| 1 იანვარი, 2012 (არააუდ.)              | 225                         | 254                 | 50                   | 133                             | 662          |
| ცვეთის ხარჯი                           | 61                          | 123                 | 19                   | 37                              | 240          |
| გასვლა/რეკლასიფიკაცია                  | (7)                         | (5)                 | (47)                 | (20)                            | (79)         |
| <b>31 დეკემბერი, 2012</b>              | <b>279</b>                  | <b>372</b>          | <b>22</b>            | <b>150</b>                      | <b>823</b>   |
| <b>ნაშთის საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                             |                     |                      |                                 |              |
| <b>31 დეკემბერი, 2012</b>              | <b>2,602</b>                | <b>132</b>          | <b>62</b>            | <b>182</b>                      | <b>2,978</b> |

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,447 ათასი ლარის შენობები დაგირავებულია დაკავშირებულ მხარესთან სესხის უზრუნველყოფის მიზნით (2012: 2,563 ათასი ლარი).

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



## 12 საინვესტიციო ქონება

|                     | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|---------------------|-------------------|-------------------|
| 1 იანვარი           | 2,871             | 83                |
| დამატებები          | -                 | 2,788             |
| ცვეთა               | (122)             | -                 |
| <b>31 დეკემბერი</b> | <b>2,749</b>      | <b>2,871</b>      |

მენეჯმენტის შეფასებით მიწის რეალური ღირებულება დაახლოებით იგივეა რაც მისი საბალანსო ღირებულება. რეალური ღირებულება მიეკუთვნება რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეს, რადგან გამოყენებულ შეფასების ტექნიკა მოიცავს მნიშვნელოვან მონაცემებს, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, რაც ეფუძნება ბოლო გარიგებებს ბაზარზე ან გამოცხადებულ ფასებს მსგავს ქონებაზე.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,998 ათასი ლარის საინვესტიციო ქონება დაგირავებულია დაკავშირებულ მხარესთან სესხის უზრუნველყოფის მიზნით (2012: 2,097 ათასი ლარი).

## 13 სხვა აქტივები

|                                                    | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები რეგრესებიდან და დასაკუთრებული ქონებიდან | 3,302             | 3,166             |
| მოთხოვნა შპს ჯეოჰოსპიტალიდან                       | 2                 | 2,739             |
| ბანკებში განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტი   | 11                | 443               |
| თანამშრომლებზე გაცემული ავანსები                   | 54                | 43                |
| წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი              | 541               | -                 |
| სხვა                                               | 592               | 771               |
|                                                    | <b>4,502</b>      | <b>7,162</b>      |
| გაუფასურების ანარიცხები                            | (2,396)           | (3,126)           |
|                                                    | <b>2,106</b>      | <b>4,036</b>      |



#### გაუფასურების ანარიცხების მოძრაობის ანალიზი

|                               | 2013         | 2012         |
|-------------------------------|--------------|--------------|
|                               | '000 ლარი    | '000 ლარი    |
| ნაშთი წლის დასაწყისში         | 3,126        | 7,881        |
| წლის ხარჯი/( შემოსავალი)      | 226          | (98)         |
| ძირითად საშუალებებში გადასვლა | -            | (2,561)      |
| საივესტიციო ქონებაში გადასვლა | -            | (2,096)      |
| ჩამოწერა                      | (956)        | -            |
| ნაშთი წლის ბოლოს              | <u>2,396</u> | <u>3,126</u> |

#### 14 ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

|                   | 31 დეკემბერი 2013 | საკუთრება | 31 დეკემბერი 2012 | საკუთრება |
|-------------------|-------------------|-----------|-------------------|-----------|
|                   | '000 ლარი         | %         | '000 ლარი         | %         |
| შპს ჯეოჰოსპიტალსი | 5,600             | 35        | 4,200             | 35        |

მეკავშირე კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში.

2013 წელს განხორციელდა შპს ჯეო ჰოსპიტალიდან მისაღები თანხის - 1,400 ლარის ინვესტიცია კაპიტალში.

2013 წლის ნოემბრის მდგომარეობით შპს ჯეო ჰოსპიტალის წილი - 35% დაგირავებულია TBIH - დან სესხის უზრუნველსაყოფად.

#### 15 სადაზღვევო მოთხოვნები

|                                                           | 2013          | 2012          |
|-----------------------------------------------------------|---------------|---------------|
|                                                           | '000 ლარი     | '000 ლარი     |
| პირდაპირი სადაზღვევო ოპერაციებიდან წარმოშობილი მოთხოვნები | 10,361        | 12,236        |
| მოთხოვნები სახელმწიფო უწყებების მიმართ                    | 13,374        | 17,473        |
| სადაზღვევო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი   | (2,396)       | (5,813)       |
|                                                           | <u>21,339</u> | <u>23,896</u> |



სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობის ანალიზი:

|                       | 2013      | 2012      |
|-----------------------|-----------|-----------|
|                       | '000 ლარი | '000 ლარი |
| ნაშთი წლის დასაწყისში | 5,813     | 6,386     |
| ჩამოწერა              | (3,865)   | -         |
| შემოსავალი/ხარჯი      | 448       | (573)     |
| ნაშთი წლის ბოლოს      | 2,396     | 5,813     |

კომპანიას არ წარმოეშვება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკები სადაზღვევო მოთხოვნებიდან, ვინაიდან როდესაც პოლისები უქმდება შესაბამისად უქმდება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, როცა არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ სადაზღვევო პოლისის მფლობელს არ სურს ან არ შეუძლია გააგრძელოს პოლისით გათვალისწინებული პრემიების გადახდა.

კომპანია ქმნის დაზღვევის და გადაზღვევის დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვს მათი ვადაგადაცილების ანალიზის საფუძველზე. კომპანია ქმნის სპეციფიურ რეზერვებს, როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ კონტრაგენტის გადახდისუუნარობაზე.

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია სადაზღვევო მოთხოვნები ვადაგადაცილებების მიხედვით 2012 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| '000 ლარი                               | ბრუტო<br>2013 | გაუფასურება<br>2013 | ბრუტო<br>2012 | გაუფასურება<br>2012 |
|-----------------------------------------|---------------|---------------------|---------------|---------------------|
| არა ვადაგადაცილებული                    | 19,347        | -                   | 21,107        | -                   |
| ვადაგადაცილებული: 0- 30 დღე             | 1,274         | -                   | 1,963         | -                   |
| ვადაგადაცილებული: 31-60 დღე             | 110           | (22)                | 424           | (48)                |
| ვადაგადაცილებული: 61-90 დღე             | 421           | (126)               | 61            | (18)                |
| ვადაგადაცილებული: 91-120 დღე            | 130           | (65)                | 86            | (43)                |
| ვადაგადაცილებული: 121-365 დღე           | 535           | (265)               | 910           | (546)               |
| ვადაგადაცილებული ერთ წელზე<br>მეტი ხნით | 1,918         | (1,918)             | 5,158         | (5,158)             |
|                                         | 23,735        | (2,396)             | 29,709        | (5,813)             |



## 16 ბანკებში განთავსებული თანხები

|                    | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|--------------------|-------------------|-------------------|
| ვადიანი დეპოზიტები | 5,099             | 7,792             |

ბანკებში განთავსებული თანხები შედგება საბანკო დეპოზიტებისაგან; არც ერთი მათგანი არ არის გაფასურებული ან ვადაგადაცილებული.

ბანკებში განთავსებული თანხების კონცენტრაცია

2013 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებში განთავსებული თანხები, რომლებიც ინდივიდუალურად წარმოადგენს ბანკებში განთავსებათა 10%-ზე მეტს, შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

|                   | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|-------------------|-------------------|-------------------|
| თიბისი ბანკი      | -                 | 6,329             |
| კორსტანდარტ ბანკი | 1,285             | 960               |
| ბაზისბანკი        | 913               | -                 |
| ბანკი რესპუბლიკა  | 2,682             | -                 |
| სულ               | 4,880             | 7,289             |

## 17 ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                           | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ნაღდი ფული სალაროში                       | 56                | 25                |
| საბანკო ნაშთი/ბალანსები                   | 781               | 1,757             |
| სულ ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტი | 837               | 1,782             |

საბანკო ნაშთები/ბალანსები შედგება ბანკებში არსებული ანგარიშებისაგან; არც ერთი მათგანი არ არის გაფასურებული ან ვადაგადაცილებული.



## 18 სადაზღვევო რეზერვები

| '000 ლარი                       | 2013          |                |               | 2012          |                |               |
|---------------------------------|---------------|----------------|---------------|---------------|----------------|---------------|
|                                 | ბრუტო         | გადაზღვევა     | ნეტო          | ბრუტო         | გადაზღვევა     | ნეტო          |
| გამოუმუშავებელი პრემია          | 21,206        | (2,462)        | 18,744        | 24,235        | (2,926)        | 21,309        |
| მოხდარი, მაგრამ განუცხადებელი   |               |                |               |               |                |               |
| გაცხადებული                     | 477           | -              | 477           | 260           | -              | 260           |
| გაცხადებული ზარალების რეზერვი   | 3,347         | (2,146)        | 1,201         | 4,208         | (1,309)        | 2,899         |
| <b>სულ სადაზღვევო რეზერვები</b> | <b>25,030</b> | <b>(4,608)</b> | <b>20,422</b> | <b>28,703</b> | <b>(4,235)</b> | <b>24,468</b> |

### (a) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის მოძრაობის ანალიზი (გადაზღვევის ჩათვლით)

|                                                                   | 2013          | 2012          |
|-------------------------------------------------------------------|---------------|---------------|
|                                                                   | '000 ლარი     | '000 ლარი     |
| ნაშთი 1-ლი იანვრისთვის                                            | 24,235        | 9,303         |
| მოზიდული პრემია (შენიშვნა 5)                                      | 51,840        | 49,953        |
| გაუქმებული პრემიები და სადაზღვევო დებიტორების გაუფასურება (შენ.5) | (5,775)       | (470)         |
| ბრუტო გამოუმუშავებული პრემია (შენიშვნა 5)                         | (49,094)      | (34,551)      |
| ნაშთი 31 დეკემბრისთვის                                            | <b>21,206</b> | <b>24,235</b> |

### (b) ზარალების რეზერვის მოძრაობის ანალიზი (გადაზღვევის ჩათვლით)

|                                                                      | 2013         | 2012         |
|----------------------------------------------------------------------|--------------|--------------|
|                                                                      | '000 ლარი    | '000 ლარი    |
| მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის        | 260          | 1,818        |
| განცხადებული ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის                         | 4,208        | 3,611        |
| <b>სულ ზარალების რეზერვი 1 იანვრისთვის</b>                           | <b>4,468</b> | <b>5,429</b> |
| ცვლილება შეფასებასა და ანგარიშსწორებაში წინა წლების ზარალების მიმართ | (3,749)      | (4,710)      |
| მიმდინარე წლის ზარალების ხარჯი                                       | 3,105        | 3,749        |
| <b>სულ ზარალების რეზერვები 31 დეკემბრისთვის (შენიშვნა 4)</b>         | <b>3,824</b> | <b>4,468</b> |
| მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის     | 477          | 260          |
| განცხადებული ზარალების რეზერვი 31 დეკემბრისთვის                      | 3,347        | 4,208        |



(c) საერთო ბიზნესის სენსიტიური მხარეები და დაშვებები

**დაშვებათა განსაზღვრის პროცესი**

მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, გამიზნულია იმ უზრუნველყოფისათვის, რომლებიც საკმარისია, რათა დაფაროს ნებისმიერი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვება სადაზღვევო კონტრაქტებიდან - იმდენად, რამდენადაც შეიძლება გონივრულად იქნას ეს გათვალისწინებული. თუმცა, სავარაუდოა, რომ საბოლოო შედეგი იყოს განსხვავებული თავდაპირველად დადგენილი რეზერვის ოდენობისგან, იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია სადაზღვევო რეზერვების საკმარისი სიზუსტით განსაზღვრა.

რეზერვები იქმნება საანგარიშგებო თარიღისთვის და განისაზღვრება საანგარიშო თარიღისთვის მომხდარი (მიუხედავად იმისა გაცხადებულია თუ არა) ზარალების ოდენობას, ზარალების დარეგულირების ხარჯის ჩათვლით, გამოკლებული უკვე ანაზღაურებული ზარალები.

ზარალების რეზერვების დისკონტირება არ ხორციელდება.

შეფასებები ძირითადად ეფუძნება კომპანიის საკუთარ ინფორმაციას. დეტალური კვლევები ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, რათა დადგინდეს, რომ შეფასებები შეესაბამება ბაზარზე არსებულ ინფორმაციას და სხვა გამოქვეყნებულ ინფორმაციას.

მომხდარი და განუცხადებელი ზარალების რეზერვის ოდენობის დადგენა დაკავშირებულია უფრო დიდ ცდომილებასთან განცხადებულ ზარალების რეზერვთან შედარებით, ვინაიდან ამ უკანასკნელთან მიმართებაში უფრო მეტი ინფორმაციის მოძიება შეიძლება.

მომხდარი და განუცხადებელი ზარალები შესაძლოა კომპანიისთვის არ იყოს ცნობილი მოხდენიდან გარკვეული დროის განმავლობაში. კომპანიის პორტფელის მოკლევადიანობიდან გამომდინარე დამდგარი ზარალები რეგულირდება მოხდენიდან ერთი წლის განმავლობაში.

მომხდარი და განუცხადებელი ზარალების რეზერვის და ზარალების განცხადებული რეზერვის ოდენობა განისაზღვრება სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. აღნიშნული მეთოდებით ხორციელდება გადახდილი და დამდგარი ზარალების, ზარალებისრაოდენობისადაზარალის საშუალოოდენობის მაჩვენებლების ექსტრაპოლაცია თითოეული წლისათვის წინა წლების სტატისტიკაზე დაყრდნობით და მოსალოდნელი ზარალიანობის მაჩვენებლის გათვალისწინებით.

ძირითად სტატისტიკურ მეთოდებს წარმოადგენს:

- **ჯაჭვისებური კიბე (Chain Ladder):** ეს მეთოდი ეფუძნება დამდგარი და გადახდილი ზარალების ისტორიულ მაჩვენებლებს ამჟამინდელი და სამომავლო ზარალების სავარაუდო გაცხადების შესაფასებლად.
- **ბომპუტერ-ფერგიუსონი (ან მისი მოდიფიცირებული ვერსია):** ეს მეთოდი აერთიანებს კომპანიისთვის, ან სადაზღვევო პროდუქტისათვის ცნობილ ადრეულ პირობით მაჩვენებლებს, და თავად ზარალებზე დაფუძნებულ, დამატებით პირობით მაჩვენებლებს. ადრეული მიახლოებითი მაჩვენებლები იყენებენ პრემიების და დანაკარგების ინდექსს, ზარალების საერთო რაოდენობის შესაფასებლად. მეორე პირობითი მაჩვენებელი იყენებს ზარალების ფაქტობრივ რაოდენობას, რომლის დაანგარიშება სხვა მეთოდით ხდება (მაგალითად ჯაჭვისებრი კიბით). ზარალების



გაერთიანებული შეფასებისას კი ხდება ორივე პირობითი მაჩვენებლის გაანალიზება, მაშინ როდესაც ფაქტობრივად არსებულ ზარალებს მეტი წონა ენიჭებათ, და დროის გასვლასთან ერთად ზარალებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია გროვდება. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ყველაზე შესაფერისია მიმდინარე პერიოდისთვის, თუ არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია ზარალების შესახებ, იმ სადაზღვევო პროდუქტებში, რომელიც ან ახალია ან არასაკმარისი ისტორიული სტატისტიკური მასალა გააჩნია.

- **საშუალო ანაზღაურება ზარალზე:** მაშინ როდესაც ბომპუტერ-ფერგიუსონის მეთოდის გამოყენება შეუძლებელია, უკანასკნელ პერიოდში ზარალების ისტორიის უკმარისობის გამო, გამოიყენება ისტორიული საშუალო არითმეტიკულის მეთოდი. ამ მეთოდში, ინფორმაცია გამოითვლება ზარალების პროგნოზირებად რიცხვზე დაყრდნობით (ჯაჭვისური კიბის მეთოდი) და ზარალების ისტორიული საშუალო არითმეტიკულის მოცულობით.

მსხვილი ზარალების შეფასება ხდება ინდივიდუალურად იმისთვის რომ აცილებულ იქნას მათი შესაძლო უარყოფითი ეფექტი აღნიშნული ზარალების დინამიკასთან მიმართებაში.

თავდაპირველად განისაზღვრება მომხდარი და განუცხადებელი ზარალების რეზერვის და ზარალების განცხადებული რეზერვის ბრუტო ოდენობა. ცალკე განისაზღვრება გადაზღვევის მოცულობა, რისთვისაც გამოიყენება გადაზღვევის კონტრაქტების პირობები რათა დადგინდეს მომხდარი და განუცხადებელი ზარალების რეზერვის გადაზღვევის წილის ოდენობა.

### **დაშვებები**

სადაზღვევო რეზერვების დათვლისას უკანასკნელი წლების ზარალიანობის მაჩვენებელს აქვს ყველაზე დიდი ეფექტი. მოსალოდნელი ზარალიანობის მაჩვენებელი არის მოსალოდნელი ზარალების შეფარდება გამომუშავებულ პრემიასთან. ვალდებულებების განსაზღვრისას ფულადი სახსრების მოძრაობის დაგეგმვა მოიცავს იმ პარამეტრების დაგეგმვას, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ინდივიდუალური ზარალის ოდენობაზე (მაგ: ზარალების მოხდენის სიხშირე, სადაზღვევო კონტრაქტთან დაკავშირებული რისკი - სიკვდილი გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად, ზარალის ამოღების დრო, ზარალის დარეგულირების პერიოდი).

### **სენსიტიურობის ანალიზი**

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ბიზნესის მოკლევადიანი ბუნების გამო, ძირითადად კომპანიის პორტფელის შედეგი მგრძნობიარეა ზარალიანობის მაჩვენებლის ცვლილების მიმართ. კომპანია რეგულარულად ახორცილებს სადაზღვევო ტარიფების კორექტირებას იმის გათვალისწინებით, რომ გათვალისწინებული იქნას აღნიშნული მაჩვენებლის ნებისმიერი ცვლილება.



## 19 სესხები

|                                                     | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|-----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სესხი TBIH Financial Services Group N.V. (TBIH-დან) | 14,545            | 7,849             |
| სესხი VIG-დან                                       | -                 | 4,976             |
| სესხი TBC ბანკიდან                                  | -                 | 4,248             |
|                                                     | <b>14,545</b>     | <b>17,073</b>     |

### ვადები და პირობები

|                                        | ვალუტა | ნომინალური<br>საპროცენტი<br>განაკვეთი | გადახდის<br>წელი | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|----------------------------------------|--------|---------------------------------------|------------------|-------------------|-------------------|
| სესხი TBIH-დან<br>(უზრუნველყოფილი) 1   | EUR    | 8.0%                                  | 2016             | 5,494             | 3,545             |
| სესხი TBIH-დან<br>(უზრუნველყოფილი) 2   | EUR    | 5%+12 თვე<br>EURIBOR                  | 2015             | 3,942             | 4,304             |
| სესხი TBIH-დან<br>(უზრუნველყოფილი) 3   | EUR    | 6.265%+6 თვე<br>EURIBOR               | 2018             | 5,109             | -                 |
| სესხი VIG-დან<br>(არაუზრუნველყოფილი)   | EUR    | 6.265%+6 თვე<br>EURIBOR               | 2018             | -                 | 4,976             |
| სესხი TBC ბანკიდან<br>(უზრუნველყოფილი) | GEL    | 13.0%                                 | 2013             | -                 | 4,248             |
|                                        |        |                                       |                  | <b>14,545</b>     | <b>17,073</b>     |

## 20 დაზღვევის და გადაზღვევის ვალდებულებები

|                                | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|--------------------------------|-------------------|-------------------|
| აგენტისა და ბროკერის საკომისიო | 170               | 201               |
| გადასახდელი გადაზღვევის პრემია | 3,234             | 2,724             |
|                                | <b>3,404</b>      | <b>2,925</b>      |

## 21 გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

დროებითი სხვაობა ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის საბალანსო აქტივებსა და ვალდებულებებსა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაქვით თანხებს შორის წარმოშობს გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს დროებითი სხვაობები არ ამოიწურება არსებული საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე. საგადასახადო ზარალის გამოქვითვა იწურება 2019 წელს. მოძრაობა დროებით სხვაობებში 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირადაა არის წარმოდგენილი:

გადავადებულ საგადასახადო მოქმედი საგადასახადო ტარიფი: 15% (2012: 15%).



**შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო**  
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 31 დეკემბერი 2013 წ.

მოძრაობა დროებით სხვაობებში საანგარიშო წლის განმავლობაში

| '000 ლარი                                     | ბალანსი 2013<br>წლის 1<br>იანვრისთვის | აღიარებული<br>მოგება-ზარალის<br>ანგარიშგებაში | რეკლასიფიკაცია | ბალანსი 2013<br>წლის 31<br>დეკემბრისთვის |
|-----------------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------------|----------------|------------------------------------------|
| ქონება და აღჭურვილობა                         | (13)                                  | 1                                             | 384            | 372                                      |
| გადავადებული<br>აკვიზიციური ხარჯი             | (150)                                 | 78                                            | -              | (72)                                     |
| სხვა აქტივები                                 | 1,368                                 | (202)                                         | (698)          | 468                                      |
| მოთხოვნები                                    |                                       |                                               |                |                                          |
| დაზღვევიდან და<br>გადაზღვევიდან               | 872                                   | 67                                            | -              | 939                                      |
| დაზღვევისა და<br>გადაზღვევის<br>გადასახდელები | (127)                                 | 58                                            | -              | (69)                                     |
| სხვა ფინანსური<br>ვალდებულებები               | 23                                    | (9)                                           | -              | 14                                       |
| საგადასახადო ზარალი                           | 684                                   | (211)                                         | -              | 473                                      |
| საინვესტიციო ქონება                           | -                                     | 147                                           | 314            | 461                                      |
| <b>ნეტო საგადასახადო<br/>აქტივები</b>         | <b>2,657</b>                          | <b>(71)</b>                                   | <b>-</b>       | <b>2,586</b>                             |

| '000 GEL                                      | ბალანსი 2012<br>წლის 1<br>იანვრისთვის | აღიარებული<br>მოგება&ზარალის<br>ანგარიშგებაში | შვილობილთა<br>ნშერწყმის<br>შედეგი | ბალანსი 2012<br>წლის 31<br>დეკემბრისთვის |
|-----------------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------------|-----------------------------------|------------------------------------------|
| <b>არააუდირებული</b>                          |                                       |                                               |                                   |                                          |
| ქონება და აღჭურვილობა                         | -                                     | (13)                                          | -                                 | (13)                                     |
| გადავადებული<br>აკვიზიციური ხარჯი             | (82)                                  | (68)                                          | -                                 | (150)                                    |
| სხვა აქტივები                                 | 1,286                                 | 82                                            | -                                 | 1,368                                    |
| მოთხოვნები                                    |                                       |                                               |                                   |                                          |
| დაზღვევიდან და<br>გადაზღვევიდან               | 958                                   | (86)                                          | -                                 | 872                                      |
| დაზღვევისა და<br>გადაზღვევის<br>გადასახდელები | -                                     | (127)                                         | -                                 | (127)                                    |
| სხვა ფინანსური<br>ვალდებულებები               | 13                                    | 10                                            | -                                 | 23                                       |
| საგადასახადო ზარალი                           | -                                     | 287                                           | 397                               | 684                                      |
| <b>ნეტო საგადასახადო<br/>აქტივები</b>         | <b>2,175</b>                          | <b>85</b>                                     | <b>397</b>                        | <b>2,657</b>                             |

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



## 22 კაპიტალი

### (a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში კაპიტალის ნომინალურ ოდენობას.

### (b) დივიდენდები

2012 და 2013 წლის მანძილზე არ ჰქონია ადგილი დივიდენდის გაცხადებას ან მის გადახდას.

## 23 ფინანსური რისკის მენეჯმენტი (მართვა)

რისკის მენეჯმენტი (მართვა) სადაზღვევო ბიზნესის საფუძველია და იგი კომპანიის ოპერაციებში უმთავრეს ელემენტის წარმოადგენს. ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც კომპანია დგას, დაკავშირებულია საბაზრო რისკებთან, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს საპროცენტო და სავალუტო რისკებს, ასევე საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს.

### (a) რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია, მოახდინოს იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა იმ რისკებისა, რომლის წინაშეც დგას კომპანია, ასევე შექმნას შესაბამისი რისკის ლიმიტები და აწარმოოს რისკის ოდენობების კონტროლი და მუდმივი მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განხილვა რეგულარულად ასახავს ცვლილებებს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს საბაზრო პირობებში, ასევე პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზების თვალსაზრისით, იგი ითვალისწინებს საუკეთესო პრაქტიკას. კომპანიას სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებაშია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის ზედამხედველობაზე. კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია ძირითადი რისკების მართვაზე, რისკის მართვის დაგეგმვასა და განხორციელებაზე და მაკონტროლებელ პროცედურებზე, ისევე როგორც რისკის მოცულობების განსაზღვრასა და დამტკიცებაზე.

შიდა და გარე რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება და მართვა ხორციელდება მთელი კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის ფარგლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკის რუკების შედგენას, რომლებიც გამოიყენება, რათა დადგინდეს რისკის სრული სპექტრი და წარმოადგენს ერთგვარ საფუძველს მიმდინარე რისკის შემცირების პროცედურებისთვის.

### (b) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს, რომლის გათვალისწინებით, ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება შეიცვლება, საბაზრო ფასის ცვლილების გამო.



საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს. საბაზრო რისკი წარმოიქმნება საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და წილობრივი მონაწილეობის ფასიანი ქაღალდების ღია პოზიციებიდან, რომლებიც ექვემდებარებიან ბაზრის საერთო და სპეციფიკურ მერყეობებს და ცვლილებებს ბაზარზე არსებულის ფასების არასტაბილურობის ასპექტით.

საბაზრო რისკების მართვის მიზანს წარმოადგენს, რისკების მოცულობების მართვა და კონტროლი, ერთეულ რისკზე მოგების ოპტიმიზაციასთან ერთად.

(c) საპროცენტო განაკვეთის რისკი

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს კომპანიის საპროცენტო აქტივებსა და ვალდებულებებს 2013 და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი შესაბამის საშუალო ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს მოცემული დღისთვის.

|                              | 2013       | 2013       | 2012       | 2012       |
|------------------------------|------------|------------|------------|------------|
|                              | ღირებულება | საშუალო    | ღირებულება | საშუალო    |
|                              | '000 ლარი  | საპროცენტო | '000 ლარი  | საპროცენტო |
|                              |            | განაკვეთი  |            | განაკვეთი  |
| <b>საპროცენტო შემოსავლის</b> |            |            |            |            |
| <b>მომტანი აქტივები</b>      |            |            |            |            |
| გაცემული სესხი               |            |            |            |            |
| - ლარი                       | 18         | 17%        | 527        | 18%        |
| <b>ბანკებში განთავსებული</b> |            |            |            |            |
| <b>თანხები</b>               |            |            |            |            |
| - ლარი                       | 364        | 9%         | -          | -          |
| - ევრო                       | 4,735      | 8%         | 7,792      | 9%         |
| <b>საპროცენტო</b>            |            |            |            |            |
| <b>ვალდებულებები</b>         |            |            |            |            |
| - ლარი                       | -          | -          | 4,248      | 13%        |
| - ევრო                       | 14,545     | 7%         | 12,825     | 7%         |

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომლის საპროცენტო განაკვეთების ცვლილება იმოქმედებს კომპანიის შემოსავალსა ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.



კომპანიის დაგეგმილი ნეტო შემოსავლის და კაპიტალის სენსიტიურობის ანალიზი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე ეფუძნება საპროცენტი მრუდის ყველა მონაკვეთზე საპროცენტო განაკვეთის 100 საბაზო ერთეულით (bp) სიმეტრიული ვარდნის ან ზრდის გამარტივებულ სცენარს. პროცენტიანი აქტივები და ვალდებულებები არსებული 2013 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენილია შემდეგი სახით:

|                         | 2013      | 2012      |
|-------------------------|-----------|-----------|
|                         | '000 ლარი | '000 ლარი |
| <b>აქტივები</b>         |           |           |
| 100 bp პარალელური ზრდა  | 43        | 71        |
| 100 bp პარალელური კლება | (43)      | (71)      |
| <b>ვალდებულებები</b>    |           |           |
| 100 bp პარალელური ზრდა  | (124)     | (145)     |
| 100 bp პარალელური კლება | 124       | 145       |
| <b>ნეტო</b>             |           |           |
| 100 bp პარალელური ზრდა  | (80)      | (74)      |
| 100 bp პარალელური კლება | 80        | 74        |



**(d) სავალუტო რისკი**

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები უცხოურ ვალუტაში ან მეტია ან ნაკლებია ამ ვალუტაში არსებულ ფინანსურ ვალდებულებებზე. ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების სავალუტო სტრუქტურა 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| '000 ლარი                                   | ლარი           | აშშ დოლარი   | ევრო           | სულ             |
|---------------------------------------------|----------------|--------------|----------------|-----------------|
| <b>აქტივები</b>                             |                |              |                |                 |
| სხვა აქტივები                               | 2,106          | -            | -              | 2,106           |
| გაცემული სესხები                            | 18             | -            | -              | 18              |
| სადაზღვევო მოთხოვნები                       | 16,591         | 4,748        | -              | 21,339          |
| ბანკებში განთავსებული თანხები               | 364            | -            | 4,735          | 5,099           |
| ფული და მისი ეკვივალენტები                  | 372            | 8            | 457            | 837             |
| <b>სულ აქტივები</b>                         | <b>19,451</b>  | <b>4,756</b> | <b>5,192</b>   | <b>29,399</b>   |
| <b>ვალდებულებები</b>                        |                |              |                |                 |
| სადაზღვევო რეზერვები                        | 25,030         | -            | -              | 25,030          |
| დაზღვევისა და გადაზღვევის ვალდებულებები     | 742            | 2,602        | 60             | 3,404           |
| სხვა ვალდებულებები                          | 305            | -            | -              | 305             |
| სესხები                                     | -              | -            | 14,545         | 14,545          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>          | <b>26,077</b>  | <b>2,602</b> | <b>14,605</b>  | <b>43,284</b>   |
| <b>ნეტო პოზიცია 31 დეკემბრისთვის – 2013</b> | <b>(6,626)</b> | <b>2,154</b> | <b>(9,413)</b> | <b>(13,885)</b> |
| <b>ნეტო პოზიცია 31 დეკემბრისთვის – 2012</b> | <b>(9,811)</b> | <b>3,103</b> | <b>(4,695)</b> | <b>(11,403)</b> |

კომპანიის დაგეგმილი ნეტო შემოსავლის და ევროს კაპიტალის სენსიტიურობის ანალიზი მოცემული წლისთვის ეფუძნება აშშ დოლარისა და 5% ცვლილების გამარტივებულ სცენარს ქართულ ლართან მიმართებაში და 2013 წლის 31 დეკემბრისა და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენილია შემდეგი სახით:

|                                          | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| 5% აშშ დოლარის მატება ლართან მიმართებაში | 92                | 132               |
| 5% აშშ დოლარის კლება ლართან მიმართებაში  | (92)              | (132)             |
| 5% ევროს მატება ლართან მიმართებაში       | (400)             | (200)             |
| 5% ევროს კლება ლართან მიმართებაში        | 400               | 200               |

**(e) საკრედიტო რისკი**

კომპანია ახდენს გარკვეული რისკების გადაზღვევას გადაზღვევის კომპანიებთან. გადაზღვევის კომპანიების შერჩევის პროცესი ეფუძნება კრიტერიუმებს, რომლებიც დაკავშირებულია გადახდისუნარიანობასა და საიმედოობასთან, ასევე, მეტ-ნაკლებად – დივერსიფიკაციასთან (რისკის განაწილება კონტრაგენტებს შორის).

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



კომპანიას, ასევე, აქვს სხვა მოთხოვნები, რომლებიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მოთხოვნებში არის მისაღები პრემიები. იმისათვის, რომ შემცირდეს სადაზღვევო პოლისების მფლობელების მიერ თანხების არ ჯადახდის რისკი, ყველა გაცემული პოლისი შეიცავს გარკვეულ დებულებებს, რომლის მიხედვითაც პოლისის უქმდება დადგენილი დღისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი, ასევე, შეიძლება შემცირდეს ანდერაიტინგის მკაცრი კრიტერიუმების მეშვეობით. საბანკო დეპოზიტების საკრედიტო რისკის შესამცირებლად, კომპანია ახდენს საკუთარი სახსრების ინვესტირებას წამყვან ქართულ ბანკებში.

კომპანია უწყვეტად ახორციელებს საკრედიტო რისკის მონიტორინგს.

კომპანიამ 2013 წელს მეკავშირე კომპანიის მიმართ გასცა ფინანსური გარანტია (იხ. შენიშვნა 26).

**(f) ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომლის დროსაც კომპანიის გადახდისუნარიანობას მის წინაშე მდგარი ვალდებულებების გასასტუმრებლად საფრთხე ექმნება თანხების მოზიდვიდან გამომდინარე. ლიკვიდურობის რისკი დგება, როდესაც არ ემთხვევა აქტივების და ვალდებულებების ვადიანობა. აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის და საპროცენტო განაკვეთების თანხედრა და/ან კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუტის მართვის საფუძველს.

ფინანსური ინსტიტუტებისათვის საკმაოდ იშვიათი და უჩვეულოა აქტივებისა და ვალდებულებების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა, ვინაიდან წარმოებული ოპერაციები ხშირ შემთხვევაში ხასიათდება გაურკვეველი ვადითა და განსხვავებული ხასიათით. შეუსაბამო პოზიცია პოტენციურად ზრდის შემოსავალს, მაგრამ, ასევე, შესაძლოა სახეზე გვქონდეს რისკით გამოწვეული ზარალი. კომპანია ახორციელებს ლიკვიდურობის მართვას, რათა უზრუნველყოს თანხების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს ყველა ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის. კომპანიის მენეჯმენტი ლიკვიდურობის პოზიციებს ყოველდღიურად განიხილავს.

ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადები გადახდის უახლოესი ვადის მიხედვით. მთლიანი ფულადი გადინებები, რომლებიც მოცემულია ცხრილში, წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებებზე გადასახდელ სახელშეკრულებო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადს.

| '000 ლარი                                     | 1 წელზე<br>ნაკლები | 1-დან<br>5 წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | ბრუტო<br>თანხის<br>გადინება | ოდენობა       |
|-----------------------------------------------|--------------------|-------------------|-----------------|-----------------------------|---------------|
| <b>ფინანსური<br/>ვალდებულებები</b>            |                    |                   |                 |                             |               |
| სესხები                                       | 1,558              | 14,710            | -               | 16,268                      | 14,545        |
| დაზღვევისა და<br>გადაზღვევის<br>გადასახდელები | 3,394              | 10                | -               | 3,404                       | 3,404         |
| <b>31 დეკემბერი, 2013</b>                     | <b>4,952</b>       | <b>14,720</b>     | <b>-</b>        | <b>19,672</b>               | <b>17,959</b> |
| <b>31 დეკემბერი, 2012</b>                     | <b>8,160</b>       | <b>14,863</b>     | <b>480</b>      | <b>23,503</b>               | <b>19,998</b> |

თანდართული შენიშვნები 10-დან 50-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



მენჯმენტის შეფასებით, სადაზღვევო ვალდებულებებიდან ფულადი ნაკადების გასავლის ვადიანობა არ აღემატება ერთ წელს.

კომპანიას გაცემული აქვს ფინანსური გარანტია მისი მეკავშირე კომპანიისთვის (იხ. შენიშვნა 26).

**(გ) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება**

კომპანიის შეფასებით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მატერიალურად არ განსხვავდება მათი მიმდინარე ღირებულებებისაგან.

**24 კაპიტალის მართვა**

ადგილობრივი სადაზღვევო ზედამხედველი ადგენს კაპიტალის მოთხოვნებს სადაზღვევო კომპანიებისათვის. ეს მოთხოვნები გამიზნულია იმისთვის რომ განმტკიცდეს საკმარისი გადახდისუნარიანობის ზღვრები. კომპანიის მიზანია შეასრულოს ეს მოთხოვნები, თუმცა მატერიალურად არ გადააჭარბოს რათა მოხდეს ლიმიტირებული რესურსების ეფექტური გამოყენება.

კომპანიის საკუთარი კაპიტალი არ უნდა იყოს 1,500 ('000 ლარი) -ზე ნაკლები და მისი 80%, რაც შეადგენს 1,200 ('000 ლარი) ლარს კომპანიას მუდმივად უნდა გააჩნდეს ფულადი სახით.

კომპანია რეგულარულად მართავს კაპიტალის მოთხოვნებს, საანგარიშო და მინიმალური კაპიტალის შორის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად. კაპიტალის სტრუქტურის უზრუნველსაყოფად კომპანიას შეუძლია შეცვალოს ანაზღაურებული დივიდენდების თანხა და გადაიტანოს კაპიტალის იმ ერთეულებში, სადაც მისი საჭიროება არსებობს.

კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო დადგენილი კაპიტალის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების პერიოდების განმავლობაში და მის კაპიტალში, ნორმატივებში, პოლიტიკებსა და პროცესში, გასულ წელთან შედარებით არ მომხდარა არავითარი ცვლილება.

**25 განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები**

**(a) სასამართლო დავები**

კომპანიას ბიზნესის მიმდინარეობისას უხდება სასამართლო დავებში მონაწილეობა. მენჯმენტი მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, თუ კი წარმოიქმნება ამ სასამართლო დავებისგან, არ ექნება მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მომავალ შედეგებზე.

**(b) საგადასახადო განუსაზღვრელობები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ არ არის ცხადი, არის ურთიერთგამომრიცხავი და წარმოშობს ინტერპრეტირების საშუალებას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია ექვსი წელი.



საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იქნება ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს ადეკვატურად. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 26 დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები

### (a) საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის დამფუძნებელ კომპანიას წარმოადგენს TBIH Financial Services Group N.V., რომელიც კონტროლდება ვენის VIENNA INSURANCE GROUP AG Wiener Versicherung Gruppe-ის მიერ. კომპანიის მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს Wiener Stadtische Wechselseitiger Versicherungsverein – Vermögensverwaltung – ვენის სადაზღვევო ჯგუფი, ვენა.

### (b) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებთან ტრანზაქციები

სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მთლიანი ანაზღაურება ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში და წარმოდგენილია შემდეგი სახით :

|                                                    | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|----------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრები | 389               | 748               |
| ხელფასებთან დაკავშირებული გადასახადები             | 78                | 187               |
| <b>მთლიანი ანაზღაურება</b>                         | <b>467</b>        | <b>935</b>        |



**(c) ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან**

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან მოიცავს ტრანზაქციებს ყოფილ შვილობილ კომპანიებთან, მეკავშირე კომპანიებთან და კომპანიებთან, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის დამფუძნებელ კომპანიასთან. არსებული ნაშთები 2013 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

|                                                                  | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</b>                        |                   |                   |
| <b>აქტივები</b>                                                  |                   |                   |
| სხვა აქტივები (მეკავშირე)                                        | 490               | 2,739             |
| გაცემული სესხები (მეკავშირე)                                     | -                 | 509               |
| სადაზღვევო მოთხოვნები (დამფუძნებლის შვილობილი)                   | 487               | 72                |
| <b>ვალდებულებები</b>                                             |                   |                   |
| სესხები (დამფუძნებელი)                                           | 14,545            | 7,849             |
| სესხები (შუალედური დამფუძნებელი)                                 | -                 | 4,976             |
| სადაზღვევო რეზერვები (მეკავშირე)                                 | 1,336             | 741               |
| დაზღვევისა და გადაზღვევის გადასახდელები (დამფუძნებლის შვილობილი) | 846               | 1,058             |
| დაზღვევისა და გადაზღვევის გადასახდელები (შუალედური დამფუძნებელი) | 115               | -                 |

|                                                           | 2013<br>'000 ლარი | 2012<br>'000 ლარი |
|-----------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>                       |                   |                   |
| მოზიდული პრემია (დამფუძნებლის შვილობილი)                  | 125               | 26                |
| გადაზღვევის პრემია (დამფუძნებლის შვილობილი)               | 1,409             | 1,128             |
| საპროცენტო შემოსავალი (შვილობილი)                         | -                 | 1,926             |
| საპროცენტო ხარჯი (დამფუძნებელი და შუალედური დამფუძნებელი) | 867               | 1,612             |
| მოზიდული პრემია (მეკავშირე)                               | 32                | -                 |
| დამდგარი ზარალები (მეკავშირე)                             | 33,746            | 22,390            |
| გადაზღვევის პრემია (შუალედური დამფუძნებელი)               | 331               | -                 |
| სხვა შემოსავალი (შუალედური დამფუძნებელი)                  | 120               | -                 |
| სხვა შემოსავალი (დამფუძნებლის შვილობილი)                  | 697               | -                 |

კომპანიამ გარანტია გასცა შპს ჯეო ჰოსპიტალისთვის ამ უკანასკნელის მიერ სხვა დაკავშირებული კომპანიის მიმართ არსებული სესხის დაფარვის ვალდებულებისათვის - 15,194 ათასის ლარის ოდენობით (2012: 13,167 ათასი ლარი).